# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2011 წელი.

№7 (6618)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## მთავრობაში კიდევ ერთი ახალაია მოდის?

რამდენიმე მინისტრს ნაახალწლევს შინ გაუშვებენ?

2



## სამხრეთ ოსეთის სარჩელები უგზოუკვლოდ დაკარგულად მიაჩნიათ

8

## ქარის მოტანილს ქარსვე ატანენ, ოღონდ ეს არის, – პულტი არა აქვთ

6




ჩვენი ბრძოლის შედეგი მრავლისმეტყველებსა და ჩაგრულებს შორის ადგილების უბრალო გაცვლა კი არ იქნება, არამედ – ბუნებით სამართალთან თანხმობაში მყოფი კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა

3-4-5

## ორიენტაციაშეცვლილი შაშვები, ანუ ახალი წელი ევროპულად

„ორნითოლოგია“ ქართულად

2



## ქართველი ტურისტები შარმ-ელ შეიხში „ბულაობენ“

11

## აჭარაში პროდუქტის ფასმა მოიმატა, მოსავლიანობამ იკლო

9



## „სანაკოევი ოქრუაშვილის გეგმას, შესაძლოა, რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით აპიარებდეს“

2



„ო, უწმინდესო! რა სიყვარულით გამომარჩიე ცოდვილთა შორის!..“

7





გამოკეტილი სახლ-კარის სევდა

9




შიმშილიდან მოწინავეობამდე

6

დიდი იტალიური კარცვა

10



**აგენტის აღიარება**

# სანაკოევი ოქრუაშვილის გეგმას, შესაძლოა, რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით აპიარებდეს“



**კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილის, ექსპერტ გიორგი ვოლსკის აზრით, „ვლადიმერ სანაკოევი ირაკლი ოქრუაშვილის გეგმას რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით აპიარებს“.**

ექსპერტის ვარაუდით, „ვლადიმერ სანაკოევი რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას არა იმ პერიოდში, როდესაც თვითონ ამბობს, არამედ სწორედ ახლა ასრულებს, საკითხავი კი ისაა, აღნიშნული განცხადებებით ოქრუაშვილს პიარს ეწევა, თუ პირიქით, ძირს უთხრის მას“.

ამასთან, ვოლსკი, რომელიც კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში პირადად მონაწილეობდა, აცხადებს, რომ „როგორც ოქრუაშვილის, ისე მოგვიანებით შემუშავებული ე.წ. „კოკოითი, ფანდარასტის“ გეგმა რეალური სამშვიდობო პროექტის ჩაშლისკენ იყო მიმართული“.

„ოქრუაშვილის აგრესიული განცხადებები იმის შესახებ, რომ „ახალ წელს ცხინვალში შეხვდებოდა“ (2006 წლის ზაფხული) მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც 2004 წლიდან საერთაშორისო საზოგადოების ფინანსურ-პოლიტიკური მონაწილეობით დაწყებული სამშვიდობო პროცესი შეუქცევადი გახდა, რუსეთის გავლენის დაბალანსება და ქართულ, ოსურ და აფხაზურ მხარეებს შორის მოლაპარაკებები კი – თვალსაჩინო. საერთაშორისო საზოგადოების მიზანს რუსეთის საერთაშორისო პლატფორმაზე შენარჩუნება წარმოადგენდა, კრემლმა კი გადაწყვიტა, რომ კონფრონტაცია უფრო აწყობდა, ვიდრე საერთაშორისო ძალებთან ერთად სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა. ამასთან, მან ამ კონფრონტაციას ქართული მხარის მხრიდან მიაღწია. შესაბამისად, სამშვიდობო გეგმა ჯერ - ოქრუაშვილის გეგმით, შემდეგ კი პროექტით „კოკოითი, ფანდარასტი!“ შეიცვალა. ეს გეგმა არანაკლებ უჭკუო და უტოპიური იყო, ვიდრე ოქრუაშვილის, ორივე წარმატებული სამშვიდობო გეგმის ჩამშლელი იყო და რეალურად სწორედ რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. ვლადიმერ სანაკოევი არასდროს ყოფილა ის ფიგურა, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ხელეწიფებოდა. ის იყო და დარჩა ბერიკად, რომელიც კოკოითის ფიტულს დაათრევდა. ამდენად, მეეჭვება, „კოკოითი, ფანდარასტის“ ავტორი ის ყოფილიყო. ამასთან, სანაკოევი მიუთითებს, რომ ეს გეგმა ოქრუაშვილის გეგმის „პროექტის ვანო მერაბიშვილით“ ჩანაცვლებას წარმოადგენდა და ამით აქცენტს შიდა დაპირისპირებაზე აკეთებს. შესაძლოა, ახალი გეგმა სულ სხვა ძალების მიერ იყო შემუშავებული“, – განუცხადა „პირველს“ ვოლსკიმ და დასძინა, რომ „სამშვიდობო გეგმის ჩაშლა საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიულ შეცდომას წარმოადგენდა, რომლის ნაყოფს ახლა ვიმკით“.

**რაც შეეხება სანაკოევის „აღიარებით განცხადებებს“, გიორგი ვოლსკი მიიჩნევს, რომ „ამით რუსეთი საქართველოში შიდა-პოლიტიკური ვითარების არევას ცდილობს“.**

„ჩემი აზრით, სანაკოევმა არა იმ დროს, როდესაც თვითონ ამბობს, არამედ სწორედ ახლა დაიწყო რუსული სპეც-სამსახურების დავალების შესრულება. თავისი განცხადებით ის ოქრუაშვილის აგრესიული გეგმის გაპიარებას ცდილობს. ის, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელების შემთხვევაში რუსული ჯარები საქართველოში ვერ შემოვიდოდნენ, აბსურდია. დრო აჩვენებს, სანაკოევის განცხადებები ოქრუაშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის პიარს ემსახურება, თუ – პირიქით. ეს იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობითაც დადასტურდება, რომელშიც ოქრუაშვილია. თუმცა ასეთი პიარის მცდელობა არასერიოზულია. ვფიქრობ, რუსეთი უფრო რთულ კომბინაციას ათამაშებს. ის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ისეთ ძლიერ პარტიას ვერ ხედავს, რომელზეც დახმარებას ავანსად გასცემდა, ამიტომ შიდა პოლიტიკური კონფრონტაციის გამწვავებას ცდილობს. ესეც კიდევ ერთი თემაა, რომელიც ვითარებას დაძაბავს“, – განმარტავს ვოლსკი.

შეგახსენებთ, რომ პროექტის „კოკოითი, ფანდარასტის“ ხელმძღვანელმა ვლადიმერ სანაკოევმა რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირი აღიარა. რუსეთში გამგზავრების შემდეგ სანაკოევმა ჯაშუშური საქმიანობის დეტალური მემორანდუმი ინტერნეტით გამოაქვეყნა და ვლადიკავკაზში პრეს-კონფერენცია გამართა.

სანაკოევის განცხადებით, იგი „ეფესბეს“ აგენტად 1989 წლიდან მუშაობს და საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციიდან ყველა ინფორმაციას სოჭის სპეცსამსახურს აწვდიდა.

სანაკოევის მტკიცებით, **საქართველოში მისი საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო, საომარი მოქმედებების დაწყება არ დაეშვა. ის ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებიდან მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოშორებას და „პროექტ ვანო მერაბიშვილის“ ამოქმედებას საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს.**

„ოქრუაშვილი რომ თანამდებობაზე დარჩენილიყო, იგი ძალის გამოყენებით ცხინვალის დამორჩილებას შეძლებდა, რუსეთი კი 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას ვერ მიიღებდა“ – ირწმუნება სანაკოევი.

**სავარაუდო ცვლილებები**

# მთავრობაში კიდევ ერთი ახალაია მოდის?

**რამდენიმე მინისტრს ნაახალწლევს შინ გაუშვებენ**

**2011 წელი შესაძლოა, რამდენიმე ქართველი მინისტრისთვის არცთუ სახარბიელო აღმოჩნდეს, რადგან მათ თანამდებობების დატოვება მოუწევთ. ამის შესახებ რამდენიმე დღეა აქტიურად ჩნდება ინფორმაციები ინტერნეტ-სივრცეში. „Pressa.ge“-ზე დადებული მასალის თანახმად, კობა სუბელიანსა და გოგა ხაჩიძეს, ალბათ, მალე „ჩამოალაბორანტებენ“. გარემოს დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ჯიუტად იმეორებს, რომ მისი უფროსი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და არსად წასვლას არ აპირებს, თუმცა ამ სამინისტროს წარმომადგენლების ხმაურიანი დაჭერების შემდეგ, მათ შორის მინისტრის სისხლით ნათესავებისაც კი, ის უფრო საკვირველია, როგორ დარჩა გოგა ხაჩიძე მინისტრად აქამდე.**

ეტყობა, XXI საუკუნის „მიგნება“ – „მიშა მაგარია“ პრეზიდენტს უფლებას არ აძლევს, მყისიერად მოისროლოს ერთგული მინისტრი თბილი სავარძლიდან. თუმცა რაღა თბილი, ხაჩიძე კაბინეტში თითქმის არავის უნახავს: ის ხან პოლიეთილენის ბოთლებს, ხან ქარწაღებული ცელოფნის პარკებს დასდევდა, ხანაც ბაღებს და პარკებს ასუფთავა, თუმცა ამ ცოცხვა-დაგვაში მთავარი გაეპარა – ხე-ტყის ბიზნესში დატრიალებული კორუფციული ცეცხლი ვერაფრით ჩააქრო.

როგორც ამბობენ, გარემოს დაცვის სამინისტრო დაიშლება და პოსტ-ხაჩიძისეულ უწყებას, როგორც დანამატს „მშვენიერი ვერა“ ჩაიბარებს.

სხვათა შორის, ვერა ქობალიასთვის თავიდან არათუ ეკონომიკის მინისტრობა, არამედ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობა შეუთავაზებიათ. ვინაიდან, დევნილი იყო, იფიქრეს, ვერას ეს თანამდებობა მოხიბლავდა, მაგრამ მას მტკიცე უარი განუცხადებია, სწორედ ამიტომ დარჩა ამ პოსტზე გია ბარამია, რომელიც ახლა კვლავ თანამდებობის დატოვების პრეტენდენტია. მისით დიდი ხანია უკმაყოფილებას ვერ მალავს დევნილთა საზოგადოება, მაგრამ ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილის უკრაინელი თანაკურსელის გია ბარამიასთვის წყალი არავის შეუყენებია.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ მხოლოდ პიარ-კამპანიებით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას. როგორც ინტერნეტ კომენტარში აცხადებს ერთ-ერთი ქალბატონი, „მისი ბეგრაუნდის, ინტელექტისა და ფსიქოლოგიის ადამიანი ამ თანამდებობაზე არ უნდა ყოფილიყო. აფხაზეთის მოსახლეობა ასეთ წარმომადგენელს არ იმსახურებდა. თუ ელარჯის გაკეთება არის მისი მუშაობის შედეგების დემონსტრირება, ამას ნებისმიერი დევნილი მოახერხებს და შესაძლოა უფრო დახვეწილი და შინაარსიანი კომენტარიც მოგვასმენინოს“.

ბარამიას შემცვლელად სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ გენერალურ დირექტორს მანუჩარ ახალაიას მოიაზრებენ. მისი ლობი ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ნაყოფიაა, რომელიც თავის დროზე „მადნეულის“ გენერალური დირექტორი იყო და მთავრობის ასეთივე გენერალური სპონსორი. ასეა დღესაც. ამიტომ მანუჩარ ახალაიას კანდიდატურას წინ არაფერი უდგას.

მართალი გითხრათ, თავად დევნილებისთვის დიდად არაფერი შეიცვლება, თუკი მათი მთავრობა თავმჯდომარის პოსტზე ბარამიას ახალაია შეცვლის, მაგრამ კობა სუბელიანის ცვლილებამ შეიძლება ბევრი გაახაროს.

წინასაახალწლო დღეებში თუ მას შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი მღელვარებამ მოიცვა. საცხოვრებელი ფართების დაკანონებისა და ლტოლვილთა გამოსახლების პროცესმა პიკს მიაღწია. უშედეგოა სუბელიანის სამინისტროს ეზოში გაშლილი კარვების აქცია. სამწუხაროდ, ტრაგიკულად დამთავრდა შეურაცხყოფის გამო სასოწარკვეთილი ქალბატონის ბედი, რომელმაც თავი დაიწვა. აქციები კვლავ გრძელდება პარლამენტის წინ.

გიგი უგულავას კადრი, დევნილთა უხვად დაგროვილი პრობლემების მოუგვარებლობის გამო, შესაძლოა, ამ თანამდებობას ჩამოაცილონ, თუმცა უსამსახუროდ, რა თქმა უნდა, არ დატოვებენ.

კობა სუბელიანის პრესცენტრსაც უჭირს ამ ინფორმაციის დაჯერება, მაგრამ ამაზე უკვე საუბრობენ პარლამენტის კულუარებში. ამის შესახებ დიდი ხანია ჭორაობენ, მაგრამ ამ ბოლო დროს მინისტრების „ნიჩაბზე“ შესმის თემა კვლავ აქტუალური გახდა.

„pressa.ge-ზე გავრცელებული ინფორმაციით მინისტრების დათხოვნის ამბავი ამ დღეებში უნდა მოხდეს. დიდი ხნით ადრე დაანონსებული მინისტრების გათავისუფლება გაკვირვებას სულაც არ გამოიწვევს, ის უფრო მთავარია, ვინ შეცვლის მათ...

**თეა მოსია**

**„ორნითოლოგია“ ქართულად**

# ორიენტაციაშეცვლილი შაშვები, ანუ ახალი წელი ევროპულად

**როგორც საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებმა გვამცნეს, თურმე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ამერიკის, კანადისა და რამდენიმე ევროპული ქვეყნის საჰაერო სივრცეში გასროლილმა საახალწლო ფეიერვერკებმა ისე დააბნიეს შოშიები, მტრედები და განსაკუთრებით შაშვები, რომ მათ ორიენტაცია დაერღვათ.**

**როდესაც ეს მართლაცდა სამწუხარო ამბავი გავიგე, მაშინვე ის ფეიერვერკები და გრანდიოზული გალაკონცერტები გამახსენდა, რომლებითაც საქართველო ახალ 2011 წელს შეხვდა.**

**პრინციპში ქართველ შოშიებსა და შაშვებს (მოლაღურებზე აღარაფერს ვამბობ), ორიენტაცია კარგა ხანია დარღვეული აქვთ.**

**დარღვეული აქვთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენი ტყეები და მინდვრები ჩინელებზეა გაყიდული.**

**სამწუხაროდ ქართველმა ჩიტუნებმა ჩინური კი არა, ინგლისურიც არ იციან. მხოლოდ ქართულად ჭიკჭიკებენ და მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევისა, ვერაფრით ვერ ეჩვევიან ტიტრებდადებულ გალობას.**

**მაგრამ ნათქვამია: – „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.**

**კიდევ კარგი, ინგლისური რომ არ იციან. რომ სცოდნოდათ, ისინიც ხომ „დასავლურად“ იზეიმებდნენ ახალი წლის დღესასწაულს. დაფრთხებოდნენ გრანდიოზული ფეიერვერკებით და დაკარგავდნენ ორიენტაციას.**

**არადა სი-ენ-ენზე, საინფორმაციო პროგრამა „ვორლდ ვიუს“ ეთერში, კურიერის კორესპონდენტმა დავით ნიკურაძემ 2011 წლის საახალწლო ზეიმებთან დაკავშირებით ისეთი რეპორტაჟი გააკეთა, რომ მეტრო „თავისუფლების“ მოედანთან მდგომ ჭადარზე მცხოვრებმა, 298 წლის ყვავმა, ლამის მართლა დაკარგა ორიენტაცია და „ყვა-ყვას“ მაგივრად, კინაღამ „ყიყლიყოო“ დაიძახა.**

**ამ რეპორტაჟის მიხედვით, საქართველოში საბჭოური ტრადიციები, ევროპულს ჩაუნაცვლებია.**

**უკაცრავად, მაგრამ ვერ გავიგე, თუ რას ნიშნავს „ახალი წელი ევროპულად“.**

**ეჰ, უფულობას რა ვუთხარი, თორემ ქუჩაში ახალი წლის შეხვედრას, კაი სუფრასთან ჯდომა და შამპანიურის ბათქა-ბუთქი რომ სჯობს, არა მგონია, ვინმეს ეშლებოდეს.**

**მერე ბათუმის გალაკონცერტი, მოსკოვის საახალწლო ღონისძიებებისთვის შეუდარებია და უთქვამს – ჩვენი ბევრად სჯობდაო.**

**ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, რადგანაც მოსკოვში ჩატარებულ ღონისძიებას არც დავსწრებივარ და არც ტელევიზორით მინახავს, მაგრამ სიუჟეტის ამ მონაკვეთმა, ის პერიოდი გამახსენა, როდესაც ყველაფერს 1913 წელთან მიმართებაში განიხილავდნენ.**

**აბსოლუტურად ყველაფერს და სასკოლო სახელმძღვანელოებიდან დაწყებული, „გარდაქმნის პროჟექტორით“ დამთავრებული, გვეუბნებოდნენ, რომ 1913 წელთან შედარებით, მილიონი ტონა ფოლადით მეტი გამოვუშვით და 10 კაცით მეტი გავგზავნეთ კოსმოსშიო.**

**აბა დაფიქრდით. დღესაც ასე არ იქცევა ჩვენი ხელისუფლება?**

**ყოველდღე თავისი საინფორმაციო საშუალებებით ამტკიცებს, რომ ბათუმში მოძრავი ქანდაკებები, მინინისა და პოჟარსკის ძეგლს სჯობს. ამტკიცებს, რომ მესტიაში უფრო უკეთესი სასრიალო ტრასებია, ვიდრე რიაზანის სტეპშიო. ამტკიცებს, რომ ხინკალი ჯობია პელმენს.**

**ვიცით ბატონო! ვიცით!**

**ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ბელარუსი-ლიტვის საზღვარზე „ბედნიერი“ საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად გადასვლის მცდელობის გამო.**

**ვიცით და ვხვდებით, რომ სადაც სამი დააკავეს, იქ ოცდასამი გადავიდა (და რამდენი ასეთი „ოცდასამი“ძ.**

**ახლა არ მითხრათ, საქართველოში მოდიოდნენ ახალი წლის ევროპულად შესახვედრად, კომპასმა უმტყუნათ და „მხარი ეცვალათო“.**

**ნინო კალანდაძემ კი ორშაბათის ტრადიციული ბრიფინგი გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროში და განაცხადა, გასული კვირები პოლიტიკურად დატვირთული არ ყოფილაო. შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში ძველით ახალი წლის ევროპულად შეხვედრისთვის წამსვლელ მოქალაქეებს მიმართა და თქვა, რომ პოლონეთში, საქართველოს მოქალაქეების მიმართ დასაქმების პროცედურების გამარტივება სიმართლეს არ შეეფერებაო. ამიტომ ძველით ახალ წელსაც სახლში შეხვდით და თუ ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს გაგითიშავენ, მაშინ ქუჩაში გამოდით, ხელისუფლება რაიმეს ილონებს და ერთ კონცერტს არ დაგამადლითო.**

**ბევრი რომ არ ვილაპარაკო, დარღვეული ორიენტაციის გასასწორებლად, ერთი–ორი კარგი ორნიტოლოგი ნამდვილად სჭირდება ამ ჩვენს ხელისუფლებას.**

**გია გაბრიჭიძე**

# ტკბილ-მწარე საახალწლო ფიქრები

*ისტორიას ჩაბარდა 2010 წელი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ახალი მღელვარება, მომავლის შიში და ყოველდღიური საზრუნავი მოუმატა. გაძვირდა საწვავი, პური, საკვები, მედიკამენტები, ტრანსპორტი. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაუფასურდა ცოდნა, აზროვნება, გამოცდილება, ზნეობა. ინტელექტუალური შრომა და თავისუფალი შემოქმედება ნახევრად მშიერი, მათხოვრული არსებობის წინაპირობად დარჩა.*

*მეწარმეობა ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო საქმიანობად გადაიქცა საქართველოში, ვინაიდან საგადასახადო სამსახურისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ემსგავსება „სახელმწიფო ლეკიანობას“, როცა ნებისმიერ (წვრილ, მსხვილ თუ საშუალო) მეწარმეს ერთნაირად ემუქრება მძევლად აყვანა, ხაროში ჩაგდება და გამოსასყიდის გადახდამდე იქ ყოფნა. ეს „იქ ყოფნა“ კი აჩანაგებს მათს ისედაც სიმწრით, ვალებითა და საბანკო კრედიტებით აწყობილ ბიზნესს, აჩანაგებს და ხშირად უსახლკაროდ ტოვებს ოჯახებს, რომლებიც იძულებულნი არიან ყველაფერი გაყიდონ და უკანასკნელი გროშები გაიღონ მძევლად აყვანილი ოჯახის წევრის გამოსახსნელად. 170 წვრილი მეწარმის ერთ დღეს დაპატიმრება გაუგებარი მოტივითა და მიზეზით ამისი ცინიკური და დაუფარავი დემონსტრირება იყო.*

*ახალი წლის დადგომას შიშით ელიან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილები, რადგან ხელისუფლება დედაქალაქიდან მათს დეპორტაციას გეგმავს, დედაქალაქიდან, სადაც წლების განმავლობაში მათ უკიდურესი გაჭირვების, ეგვიპტური შრომისა და საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ელემენტარული საარსებო სახსრის გაჩენა მოახერხეს და ახლა ამ მწირ საარსებო წყაროებსაც უნდა მოსწყვიტონ და უკაცრიელ ადგილებში უმიწაწყლოდ გადაასახლონ. ეს სახელმწიფო პოლიტიკაა — ვერც ერთი ლტოლვილი ვერ უნდა ირჩენდეს თავს, ის მთლიანად უნდა იყოს სახელმწიფოზე დამოკიდებული და არჩევნების დროს ერთი ტომარა ფქვილის, ოცი ლარის ან გადაუხდელი ელექტროენერგიის საფასურის პატიების ფასად ხმას აძლევდეს თავის რჩეულ მონებსა და ჯალათებს.*

ქართული აკადემია

2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ჩატარდა. ეს არჩევნები ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ ხელისუფლების დამქაშებს არ დასჭირვებიათ ცემა-ტყეპა, ურნების მსხვრევა და ოქმების გადაწერა. სამაგიეროდ, ჩვენ ვიხილეთ ნაცმოძრაობის სამსახურში ნებაყოფლობით ჩამდგარი ასაკოვანი დიასახლისების არმიები რამდენიმეგვერდიანი სიებითა და კალმისტრებით ხელში. აქა-იქ, ყოველი შემთხვევისათვის, უბნის „ქველი ბიჭების“, კრიმინალებისა და სახელმწიფო „ზონდერების“ ჯგუფებიც იდგნენ. სიებში იმ მოქალაქეთა გვარებიც ეწერა, რომლებსაც წინასწარ ჰქონდათ გაყიდული საკუთარი ხმა ასორმოცდაათლარიანი ხელფასის, რემონტის, უფრო ხშირად კი დაჭერილი ახლობლის გათავისუფლების, ან დასაჭერად განწირული ოჯახის წევრის, მეგობრის, ან მეზობლის გადარჩენის ფასად.

სიებში იმ მოქალაქეთა გვარებიც იყო მითითებული, რომლებმაც შანტაჟის ან პირდაპირი მუქარის გამო საერთოდ უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, ვინაიდან კორპუსის „მაყურებელ“ დეიდაკოორდინატორებს თავ-თავიანთ შტაბებში დროულად ჰქონდათ მიტანილი ამბავი მათი ოპოზიციური განწყობის შესახებ.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ ქალბატონებს. ისინი ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. ჩვენ მათ ყოველდღე ვხვდებით, ვესალმებით, მოვიკითხავთ, ვითომც არაფერი მომხდარა, ვითომც ჩვენი მომავალი თაობისათვის სულმოკლეობის, უღირსობის, დამბეზღებლობისა და სიხარბის საარაკო მაგალითები არ ეჩვენებინოთ. ჩვენ ტელევიზიითაც ვნახეთ მათი ბედნიერი სახეები არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, აჭარაში ჩატარებულ მრავალათასიან ტრეინინგ-ღრეობაზე, სადაც ისინი სააკაშვილმა და უგულავამ მიიწვიეს ტვინის გამოსარეცხად, ინსტრუქციების მისაცემად, დასანაყრებლად და დროის გასატარებლად. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც ყოველგვარ ამორალობასა და უზნეობას ვეგუებით, აღარაფერს ვკვირვობთ და არაფერი გვაშფოთებს, გარდა იმისა, რომ საახალწლო სუფრაზე შეიძლება გოჭის დადება ვერ მოვახერხოთ.

* * *

ვილაცამ შეიძლება იკითხოს: „განა შესაძლებელი იყო ასეთ პირობებში არჩევნების მოგება?“ უზარმაზარი ფულადი სახსრების დახარჯვის, საკუთარი საარჩევნო რესურსის სრული მობილიზების, მორჩილი და ხელისუფლების პროპაგანდით დაკავებული ტელემედიის, კარგად დაფინანსებულ-გაწვრთნილი ახალი „მდედრიონის“, კრიმინალურ-პოლიციური ბრიგადების, მოსყიდვის, შანტაჟისა და დაშინების მიუხედავად, უგულავას ხმა მისცა თბილისის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 25-მა პროცენტმა. მხოლოდ 25-მა! დანარჩენი 75 პროცენტი ოპოზიციის პოტენციური ელექტორატი იყო.

ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ იმთავითვე ბოიკოტი გამოუცხადა ამ არჩევნებს. ზოგმა კი არჩევნების წინა დღეს მოუწოდა თავის მომხრეებს ბოიკოტისკენ. იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა კოორდინირებულ მოქმედებაზე. ერთიანი კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებულმა კინკლაობამ, ხმების გაყოფამ, ურთიერთბრალდებებმა, ულტიმატუმებმა და სხვ. ბევრ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანს დაუკარგა არჩევნებზე წასვლის სურვილი.

რომ არა ეს გარემოებანი, ცხადია, სურათი სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. ჩვენ ხელიდან გავუშვით მინიმუმ მეორე ტურის დანიშვნის შანსი. მეორე ტური კი ხელისუფლების გარდაუვალი დამარცხებისა და რღვევის დასაწყისი გახდებოდა.

სკეპტიკოსები იტყვიან — ხელისუფლება მაინც გააყალბებდა არჩევნებს. ცხადია, ამ ამორალური მმართველი გუნდისაგან ამის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლებას დასჭირდებოდა ღია ძალადობა და გაყალბებაზე წასვლა, რაც იმ ვითარებაში აუცილებლად გამოიწვევდა ამომრჩევლის აღშფოთებასა და საერთაშორისო ორგანიზაციების, სადამკვირვებლო მისიებისა და საელჩოების სათანადო რეაქციას. სახალხო პროტესტს კი მიზანმიმართული, დემოკრატიული დასავლეთისათვის გასაგები სახე მიეცემოდა, ბრძოლას რეალური პერსპექტივა გაუჩნდებოდა, ხალხს კი გამარჯვების იმედი დაუბრუნდებოდა. იმედი კი გამარჯვების წინაპირობაა.

თუ ვინმესთვის ეს იდეალიზმია, მაშინ მოიღოს მოწყალება და დამდეგ ახალ წელს მაინც ნათლად დაგვანახვოს რეჟიმის დემონტაჟის უფრო რეალისტური, თანაც ქვეყნისა და ხალხისათვის უხიფათო გზა.

* * *

ჩვენი კიდევ ერთი (იქნებ მთავარიც) უბედურება ის არის, რომ ცივილიზებულ მსოფლიოს ვერც გასულ წელს დავანახვეთ ჩვენი სამომავლო ხედვის სოლიდურობა, ზნეობრიობა და პრაგმატულობა, ქვეყნის განვითარების რეალისტური და ეფექტური კონცეფცია, რომელიც, ერთი მხრივ, თანხმობაში იქნება ქართველი ერის სულიერ წყობასთან, ისტორიულ გამოცდილებასთან და, მეორე მხრივ, დაფუძნებული იქნება კლასიკურ (და არა ფსევდოლიბერალურ) ფასეულობებზე; ვერ შევთავაზეთ სააკაშვილის უპიროვნო და აშკარა ალტერნატივა.

ამისი თავი და თავი კი ის არის, რომ ჩვენში დღემდე არ არის გაცნობიერებული მარტივი ჭეშმარიტება — პოლიტიკა, გარდა ყველაფრისა, ცოდნის დარგიცაა და ამ სპეციფიკური ცოდნის გარეშე შედეგი ან საერთოდ არ მიიღწევა, ან, თუ რაიმე შედეგი მაინც დადგა, ის ისეთივე ხარვეზიანი და მახინჯი იქნება, როგორიცაა ის რეალობა, რომლის შესაცვლელად ამდენი ძალისხმევა, დრო, ნერვები და მსხვერპლია გაღებული.

ჩვენ ისევ და ისევ მხოლოდ ძალას, შიშველ მოძალადეობასა და ფუჭ დაპირებებს ვცემთ პატივს. ძალა კი ცოდნაში, ეთიკასა და მორალურ პრინციპებშია და არა ცრუ დაპირებებში, ვიწრო ლანძღვა-გინებაში, ხმამაღალ განცხადებებსა და საეჭვო ლოზუნგების წამოსროლაში. პოლიტიკური ფილოსოფიისა და ტექნოლოგიების უცოდინარ, თანაც ერთობ საეჭვო მორალის მქონე ხალხის აყოლა, მათთვის თავის გაწირვა და დაუმსახურებელი აღზევება ყოველთვის დამთავრედება ისე, როგორც ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ დამთავრდა — ძველ უზნეობასა და უვიცობას ახალი უზნეობა და უვიცობა შეცვლის, არსებითად კი არაფერი შეიცვლება.

## ჩვენი ბრძოლის შედეგი მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის ადგილების უბრალო გაცვლა კი არ იქნება, არამედ — ბუნებით სამართალთან თანხმობაში მყოფი კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა

* * *

2010 წელი ბევრისთვის პოლიტიკური კლასის დისკრედიტაციის, იმედგაცრუებისა და ფრუსტრაციის წელი იყო. საკითხავია, რატომ და რისგან ვართ იმედგაცრუებულნი? რა მოთხოვნებსაც ვუყენებთ პოლიტიკოსებს, რა მორალური და ინტელექტუალური საზომითაც ვზომავთ მათ საქმიანობას, ისინიც იმითვე გვპასუხობენ და ცდილობენ მოერგონ ჩვენს გაუაზრებელ დაკვეთას. პრაქტიკულად, განა ჩვენ თვითონ არ მოვთხოვეთ ოპოზიციას ყოფილიყო სააკაშვილზე უფრო მყვირალა, უფრო ორპირი, სიტყვის გამტეხი და „გადამგდები“? მაშ, რა იწვევს ჩვენს იმედგაცრუებას — ის, რომ ოპონენტები სააკაშვილს ვერ ჯობნიან ფლიდობაში, სიგიჟესა და სიცრუეში? თუ მათი პოლიტიკური უვიცობისა და უწიგნურობის მასშტაბი არ გვაკმაყოფილებს?

რასაც ვითხოვთ, იმას ვღებულობთ და წინასაახალწლო ატრაქციონივით მშვიდად ვუყურებთ „დემოკრატიულ მოძრაობა — ერთიანი საქართველოსა“ და „ქართულ პარტიას“ შორის მიმდინარე ტრაგიკომიკურ შერკინებას. ამ დროს, ცოტა თუ ვინმე აქცევს ყურადღებას ხელისუფლების დუმილს, თითქოს ამ რეჟიმს არც კი ეხებოდეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან რამდენიმე მილიონიანი უკანონო გარიგების ბრალდება. თუკი ეს ბრალდება არ შეესაბამება სიმართლეს, მაშინ ხელისუფლებამ ღიად უნდა განაცხადოს ამის შესახებ და ცილისმწამებელს სასამართლოში უჩივლოს, ხოლო თუკი ეს მართალია, მაშინ ფართომასშტაბიან, ამაზრზენ პოლიტიკურ კორუფციასთან გვქონია საქმე, რასაც, მინიმუმ, ხმაურიანი პოლიტიკური სკანდალი უნდა მოჰყვეს. მაგრამ ეს არ ხდება.

მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, საბოლოოდ რომელი მხარე გამტყუნდება და რომელი მხარე გამართლდება? გასამტყუნარი ვართ ჩვენ, რომლებიც პოლიტიკოსებისაგან არ მოვითხოვთ აზრისა და ზნეობის სიმაღლეს, მსოფლმხედველობრივი, სოციალური და მორალური ფასეულობების გამოკვეთილ სისტემას, არა მოვითხოვთ ცოდნასა და ეთიკას, ხოლო საკუთარ სიმპათია-ანტიპათიებს პრიმიტიული, უაზრო რადიკალიზმის, მყვირალა ლოზუნგებისა და გულისამრევი ნაციონალისტურ-თეისტური რიტორიკის კრიტერიუმებით განვსაზღვრავთ, რასაც არაფერი აქვს საერთო არც ჭეშმარიტ პატრიოტიზმთან, არც ქრისტიანობასთან და არც პოლიტიკასთან.

* * *

2010-მა წელმა დაადასტურა, რომ ხელისუფლება გაცილებით უკეთ გვიცნობს, ვიდრე ჩვენ ეს გვგონია და ოსტატურად სარგებლობს ამით. მან კარგად გათვალა, რომ საზოგადოება სათანადოდ ვერ შეაფასებდა ახალი კონსტიტუციური მოდელის მნიშვნელობას ქვეყნის მომავლისათვის და საagarako სეზონს დაამთხვია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაც და საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურებიც. სანამ მთავრობა ხმელთაშუა ზღვისა თუ წყნარი ოკეანის კუნძულებზე ნებივრობდა, ოპოზიციის ნაწილი თურქეთის პლაჟებზე ირუჯებოდა, რიგითი მოკვდავები კი სიმწრით ნაშოვნ უკანასკნელ გროშებს ქობულეთისა თუ ბათუმის კაფეებში ტოვებდნენ, დემეტრაშვილ-შარმანაშვილის კომისიამ თავიანთ „მამასა და მარჩენალს“ მოუმზადა შეცვლილი სტატუსით „მეორედ მოსვლის“ კონსტიტუციური გზები.

> **ხელისუფლებამ კარგად გათვალა, რომ საზოგადოება სათანადოდ ვერ შეაფასებდა ახალი კონსტიტუციური მოდელის მნიშვნელობას ქვეყნის მომავლისათვის და საagarako სეზონს დაამთხვია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაც და საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურებიც. სანამ მთავრობა ხმელთაშუა ზღვისა თუ წყნარი ოკეანის კუნძულებზე ნებივრობდა, ოპოზიციის ნაწილი თურქეთის პლაჟებზე ირუჯებოდა, რიგითი მოკვდავები კი სიმწრით ნაშოვნ უკანასკნელ გროშებს ქობულეთისა თუ ბათუმის კაფეებში ტოვებდნენ, დემეტრაშვილ-შარმანაშვილის კომისიამ თავიანთ „მამასა და მარჩენალს“ მოუმზადა შეცვლილი სტატუსით „მეორედ მოსვლის“ კონსტიტუციური გზები**

ეს აბსურდული ვითარება იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება წესიერად ვერ აცნობიერებს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონის, სახელმწიფოს ფუნქციობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტის მთელ სერიოზულობას და ამით ხელისუფლებას სრულ კარტბლანშს აძლევს.

ძალზე სიმპტომატური იყო ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის პრინციპული უარი კონსტიტუციურ პროცესში მონაწილეობაზე. ხელისუფლებისა არ იყოს, მათაც კარგად იციან ჩვენი მენტალიტეტი და ამიტომაც თავს უფლებას აძლევენ, ყოველდღიური ინტელექტუალური შრომა, ახალი იდეების გენერირება და მოდელების შექმნა (რაც პოლიტიკური ორგანიზაციის მოღვაწეობის ძირითადი შინაარსია) ჩაანაცვლონ პოპულისტური ფრაზეოლოგიითა და პოლიტიკური პოზიორობით. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკური ძალის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ავტომატურად გამოიწვევდა მისი რეიტინგის განულებას. ძნელად წარმოსადგენია საკონსტიტუციო პროცესში მონაწილეობაზე უკეთესი ასპარეზი, საზოგადოებისათვის საკუთარი იდეალების, პოლიტიკური ხედვებისა და განვითარების მოდელების სადემონსტრაციოდ და ხელისუფლებისათვის რეალური ალტერნატივის შესაქმნელად. სწორედ ამაში ჩანს ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკის, აზროვნებისა და საკუთარი მომავლის ხედვისადმი. ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება ვერ გამოვიდა ძალაუფლებისათვის პრიმიტიული ბრძოლის დისკურსიდან. მთელი პოლიტიკური ცხოვრებისა და აზროვნების დაყვანა მხოლოდ ვიღაცის გადაგდების ან სკამის შენარჩუნების მანიაკალურ კოლიზიამდე, წარმოადგენს შიზოფრენიას და ამას არაფერი აქვს საერთო ქვეყნის ინტერესებთან.

იხ. 4 გვ.




(მესამე გვერდიდან)

გასულ წელს აღინიშნა სტალინის მშობლიურ ქალაქში, გორში, საბჭოთა ბელადის მონუმენტის დემონტაჟითა და საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის „პადლმასეული“ კანონის მიღებით. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ამ ქმედებათა აზრი და დანიშნულება მსოფლიოს თვალში „გამარჯვებული“ ლიბერალური ფასეულობებისა და მენტალიტეტის დემონსტრირებაა, საშინაო მოხმარების კუთხით კი — ტოტალიტარული აზროვნების წინააღმდეგ ძლევამოსილი ლაშქრობა და სააკაშვილის მორიგი „ბრწყინვალე“ გამარჯვება „ბნელ კომუნისტურ“ წარსულზე.

ისტორია გვასწავლის, რომ ძეგლებთან, მონუმენტებთან და სიმბოლიკასთან ბრძოლა ახალი იდეოლოგიის, მმართველობის ან პიროვნების კულტის ტოტალურ დანერგვა-გავრცელებასთან და ისტორიის გადაწერასთანაა დაკავშირებული. ამას ჩვენი უახლესი წარსულიც მოწმობს.

საბჭოთა ეპოქის არქიტექტურული ძეგლების (მაგალითად, „იმელის“ შენობისა), მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებისა და დეკორატიული დეტალების ვანდალური განადგურება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებულ მასშტაბს მან ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ განუყოფელი ბატონობის დროს, მიაღწია. საკითხავია, რა აქვს საერთო ამ ბარბაროსობას ტოტალიტარული აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლასთან?

სტალინიზმთან ბრძოლა, პირველ რიგში პლურალიზმის დამკვიდრებას ნიშნავს და არა ერთპარტიული ან ერთპიროვნული დიქტატისა და ვოლუნტარიზმის ცეცხლითა და მახვილით დანერგვას. პირწავარდნილი სტალინიზმია ისეთი სასამართლო სისტემის შემოღება, სადაც განაჩენს განსაზღვრავს არა დაცვისა და ბრალდების მხარეთა არგუმენტების შეჯერება, არამედ პროკურორის ნება-სურვილი, როგორც ეს ავადსახსენებელი ვიშინსკის დროს ხდებოდა; მმართველობის სტალინური ტრადიციის გაგრძელებაა შეთქმულების თეორიათა მუდმივი კულტივირება, საკუთარი ამპარტავნების, უწიგნურობისა და სიბრიყვის სავალალო შედეგების გადაბრალება მითური ბნელი ძალების, ქვეყნის მტრებისა და აგენტებისათვის; სტალინიზმია განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების მორალური ტერორი, პოლიტიკური დევნა, უკანონო დაპატიმრება და მათთან ბნელ ქუჩებში ფიზიკური ანგარიშსწორება; სტალინური საკადრო პოლიტიკაა უბირი, უცოდინარი, ამორალური ადამიანების დაწინაურება მხოლოდ პირადი ერთგულებისა და უსიტყვო მორჩილების ნიშნით; ტოტალიტარული მმართველობის გამოვლინებაა მთავრობის სამარცხვინო სხდომები, რომლებზეც ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი და მინისტრების აზრს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ იშვით შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ ასეთი აზრი უჩნდებათ.

ტიპური საბჭოური მენტალიტეტის გამოვლინებაა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ჯორჯ ბუშის სახელის დარქმევა ზუსტად ისე, როგორც ერთ დროს კომუნისტები ლენინის, სტალინის, პლეხანოვის, ბერიას, კალინინის ან კიროვის სახელებს „ურიგებდნენ“ დედაქალაქის პროსპექტებს, სკვერებსა და მაგისტრალებს.

ტოტალიტარული აზროვნების ჭეშმარიტი ნიმუში და „პავლიკ მოროზოვობის“ პროპაგანდაა ისეთი კლიპების გადაღება, რომლებშიც პოლიციის ფორმაში გამოწყობილი პატარა ბავშვები იარაღით ხელში დარბიან და მონდომებით „ამყარებენ წესრიგს“.

პიროვნების კულტის ნათელი მაგალითია „ბრძენი და პროგრესული“ ლიდერის „ისტორიული გამოსვლებისა და გამონათქვამების“ ყოველდღიური, ზღვარს გადაცდენილი ტირაჟირება საინფორმაციო საშუალებებში, მისი პორტრეტები ხელმძღვანელი მუშაკების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, თეატრების, რესტორნებისა და სასტუმროს დირექტორთა კაბინეტებში, სტუდენტური „თვითმმართველობის“ ლიდერებისა და ე. წ. „პატრიოტთა ბანაკების“ ადმინისტრაციულ ოფისებში და ა. შ.

* * *

ამ ფონზე მმართველი ჯგუფის გაუაზრებელი, ავადმყოფური ბრძოლა ძეგლებთან და მონუმენტებთან (მაგალითად, დიდების მემორიალის აფეთქება ქუთაისში) სულ უფრო და უფრო იძენს ბიზანტიური ხატმებრძოლეობის კარიკატურულ ნიშნებს, იმ ხატმებრძოლეობისა, რომელის დროსაც იმპერიაში აიკრძალა ნებისმიერი გამოსახულება, გარდა იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრთა პორტრეტებისა; როდესაც ნადგურდებოდა გასული ეპოქების დიდებული ფრესკები, ხატები და მოზაიკური პანოები, ხელნაწერი წიგნებიდან იჭრებოდა უნიკალური ილუსტრაციები და იმსხვრეოდა ბარელიეფები. ხატმებრძოლი იმპერატორები, ლეო ისავრიელი და კონსტანტინე კოპრონიმოსი, თეოლოგიური არგუმენტების მოშველიებითა და იდეოლოგიური დემაგოგიით ცდილობდნენ შეენიღბათ მერკანტილური პოლიტიკური ზრახვები და ეკლესიაზე, კულტურაზე, საერთოდ ადამიანთა ცნობიერებაზე, განუყოფელი და უალტერნატივო ბატონობის წყურვილი. ისიც კარგადაა ცნობილი, რითიც დამთავრდა ეს გაუაზრებელი „მოდერნიზაცია“ — დაუძლეველი შინაგანი წინააღმდეგობით, კულტურისა და აზროვნების დეგრადაციით, სრული პოლიტიკური კრახითა და სახელმწიფოს დასუსტებით, რის გამოსწორებასაც ბიზანტიის მთელი ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური რესურსების დაძაბვა და იოანე დამასკელის რანგის მოაზროვნეთა რამდენიმე თაობის მუხლჩაუხრელი შრომა და მრავალი ათწლეულის მანძილზე გაჭიანურებული რეფორმები დასჭირდა. აქვს კი საქართველოს ამდენი დრო და ბიზანტიის სადარი ინტელექტუალური, ეკონომიკური ან სამხედრო-პოლიტიკური რესურსი, რომ ამ მენტალური, კულტურული და ფასეულობითი კოლაფსიდან გამოვიდეს?

# ჩვენი ბრძოლის შედეგი მჩაგვრელებსა უზრალო გაცვლა კი არ იქნება, არამედ მყოფი კანონის უზენაესობა და

არ შეიძლება არ გაგახსენდეს ფრთოსან ფრაზად ქცეული გამონათქვამი: „ძეგლების დემონტაჟი არ უნდა აჩენდეს ეჭვს, რომ შენ ამით ადგილს ათავისუფლებ საკუთარი ძეგლისთვის“.

* * *

2010 წელს ჩვენმა სახელმწიფომ გადადგა მორიგი საბედისწერო ნაბიჯი ტოტალიტარიზმის, საზოგადოების დეჰუმანიზაციისა და გაუნათლებლობისაკენ. თევზაძე-ლომაიას „ეპოქაში“ წამოწყებული საქმე, კერძოდ კი „მოსწავლის ქცევის კოდექსში“ გაცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“ ე. წ. „ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვების მიმართ, შაშკინის მინისტრობის პერიოდში ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. ეს „ნულოვანი ტოლერანტობა“ გულისხმობს აღნიშნული კოდექსის დარღვევაში რამდენჯერმე შემჩნეული მოსწავლის გადაყვანას ალტერნატიულ სკოლებში. პირველი ასეთი „სკოლა“ სამტრედიაში უკვე დაარსდა კიდეც. ადვილი წარმოსადგენია, რა სასტიკი, დაუნდობელი გარემო იქნება შექმნილი ამ დაწესებულებაში, როდესაც ჩვეულებრივი საჯარო სკოლებიც კი შაშკინმა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებს დაამსგავსა; კოლონიებს, სადაც ვითარებას მთლიანად აკონტროლებენ მანდატურთა ინსტიტუტის სახელით ცნობილი პოლიციური ქვედანაყოფები. გარდა იმისა, რომ ყოვლისშემძლე მანდატურები უუფლებო პედაგოგებთან შედარებით ბევრად მეტ გასამრჯელოს იღებენ, სკოლის დირექტორი და პედკოლექტივი კანონის ძალით ვალდებულია გაითვალისწინოს ამ, სათანადო ცოდნის არმქონე, ხშირად კი პრაქტიკულად გაუნათლებელი პოლიციელების რჩევა-მითითებანი.

თევზაძე-ლომაიას დროსაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ: მთელს ცივილიზებულ სამყაროში არსებული თანამედროვე განათლების სისტემები დაფუძნებულია ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის პრინციპებზე. ნათელია, რომ ჩვენი „რეფორმატორების“ ეს მორიგი, პათოლოგიური წამოწყება ეწინააღმდეგება ჰუმანურ, სამართლებრივ და, უბრალოდ, ადამიანურ პრინციპებს. ალტერნატიულ სკოლაში ბავშვის გადაყვანა უეჭველად გამოიწვევს მის სოციალურ სტიგმატიზაციას, გაბოროტებას და განათლების რეფორმატორთა მიერ ასეთი მოსწავლეების მიმართ გამოჩენილი ჩლუნგი სისასტიკე ძალიან ძვირად დაუჯდება სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოებას.

უსწავლელი მანდატურ-პოლიციელების პირდაპირი დანიშვნა საჯარო სკოლის დირექტორებად ხელისუფლების კიდევ ერთი ცინიკური და გამომწვევი ჟესტია საზოგადოების მიმართ. მთელი ეს აბსურდული დრამა მიმდინარეობს კიდევ უფრო აბსურდული და წარმოუდგენელი დევიზით: „მანდატური მოსწავლეს იცავს მასწავლებლისაგან!“ შექმნილი ვითარება ბევრ მოსწავლეს აიძულებს, მანდატურებთან კარგი ურთიერთობა დაამყაროს და თანამშრომლობის გზები ეძიოს, ეს კი ძირითადად საკუთარი მეგობრებისა და მასწავლებლების დაბეზღებით მიიღწევა. საჯარო სკოლებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ბავშვი პირდაპირ პროვოკაციასაც კი მიმართავს, რათა მანდატურის დასანახად გამოიწვიოს პედაგოგის აგრესიული რეაქცია, რაც ამ უკანასკნელისათვის საყვედურის გამოცხადების ან სულაც სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი ხდება. რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ასეთი უსინდისობის მსხვერპლი, როგორც წესი, მომთხოვნი და პრინციპული, ანუ საუკეთესო მასწავლებელი ხდება. მცოდნე და წესიერი პედაგოგი თავის გზას, ალბათ, მაინც მონახავს, მაგრამ რა პასუხს ვაძლევთ ათიათასობით ბავშვს, რომელსაც სკოლის მერხიდან სიმდაბლის, უსინდისობისა და უსულგულობისკენ ვუბიძგებთ?

**თევზაძე-ლომაიას „ეპოქაში“ წამოწყებული საქმე, კერძოდ კი „მოსწავლის ქცევის კოდექსში“ გაცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“ ე. წ. „ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვების მიმართ, შაშკინის მინისტრობის პერიოდში ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.**

**ნათელია, რომ ჩვენი „რეფორმატორების“ ეს მორიგი, პათოლოგიური წამოწყება ეწინააღმდეგება ჰუმანურ, სამართლებრივ და, უბრალოდ, ადამიანურ პრინციპებს.**

ეს მახინჯი, ქვეყნის მომავლისათვის უკიდურესად სახიფათო მოვლენა ამხელს მმართველი პოლიტიკური ჯგუფის მანიაკალურ სურვილს, ტოტალური კონტროლის, თვალთვალისა და დაშინების ატმოსფერო დაამკვიდროს იმ სფეროშიც კი, სადაც, წესით, თავისუფალი აზროვნება, კულტურა და მორალური ფასეულობები უნდა ყალიბდებოდეს. ჩვენმა პედაგოგებმა გამოიარეს სიბნელის, სიცივის, შიმშილის წლები. ხშირად სრულიად უხელფასოდ, ავად თუ კარგად ისინი მაინც ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ ვალს. მაგრამ გაუძლებენ კი ისინი ამ ახალ სოციალური დამცირებას, მანდატურთა მუდმივი თვალთვალისა და დევნის ობიექტად ქცევას? ან რატომ უნდა მოუნდეს სალად მოაზროვნე, პატიოსან და კვალიფიციურ ახალგაზრდა სპეციალისტს სამუშაოდ წასვლა შაშკინის პოლიციურ ჯურღმულში, სადაც გამეფებულია დასმენისა და ძალადობის ატმოსფერო, აკრძალულია თავისუფალი აზროვნება, ხოლო კაცთმოყვარება და თანადგომა კი დანაშაულად ითვლება? ამიტომაც, ცოტა ხანში პედაგოგიურ კორპუსს ძირითადად უვარგისი, უცოდინარი და მორალური პრინციპების არმქონე ადამიანები შეავსებენ.

რატომ ვეგუებით ამას? იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მოკალათებულმა ათიოდე მანიაკმა არჩევნების დროს უფრო ეფექტურად შეძლოს პედაგოგებით, მოსწავლეებითა და მათი მშობლებით მანიპულირება და საკუთარი სკამის შენარჩუნება?

* * *

2010 წელი უმძიმესი აღმოჩნდა ქართული სამეცნიერო სკოლების, კვლევითი ინსტიტუტების, საერთოდ, ქართული მეცნიერებისათვის. ამ დროისათვის მეცნიერებათა აკადემია, როგორც კვლევითი დაწესებულებების სისტემა, უკვე გაუქმებული და დანგრეული იყო. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ინსტიტუტები სულს ლაფავდნენ და ძალების ზღვრული დაძაბვით ახერხებდნენ სამეცნიერო პოტენციალის, გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კადრების მცირე ნაწილის შენარჩუნებას. 2010 წლისათვის მეცნიერებაში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტი უკვე 0.1-მდე იყო დაყვანილი, მეცნიერების სუბსიდირება კი ერთიანი შიდა პროდუქტის 0,3%-საც კი არ შეადგენდა. შედარებისათვის, ევროპული სტანდარტის მიხედვით, ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის უნდა იხარჯებოდეს ქვეყნის სრული შიდა პროდუქტის 3%, ხოლო მეცნიერებაში უნდა მოღვაწეობდეს დასაქმებული მოსახლეობის მინიმუმ 0.5%, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება.

ზაფხულში ხელისუფლების მხრიდან დაიწყო ახალი შემოტევა — კვლევითი ინსტიტუტები აიძულეს შესულიყვნენ რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის შემადგენლობაში. საუბარია იმ უმაღლეს სასწავლებლებზე, რომლებშიც სახელმწიფომ უკვე პრაქტიკულად გააუქმა მეცნიერული კვლევების საბაზო დაფინანსება, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი სექტორი ცალკეული (რაოდენობრივად ძალიან შეზღუდული) საგრანტო დაფინანსების ამარა დატოვა. გასაგებია, რასაც უქადის კვლევით ინსტიტუტებს ასეთი ძალადობრივი გაერთიანება უნივერსიტეტებთან.

სავალალო ის არის, რომ ამ ბარბაროსობას წინააღმდეგობა სულ რამდენიმე დაწესებულების სამეცნიერო საბჭომ და ადმინისტრაციამ გაუწია. დანარჩენებმა ყასიდად შეპირებული ხელფასებისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის ხათრით გაჩუმება არჩიეს, აკადემიკოსთა კლუბად ქცეულმა მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კი, როგორც ყოველთვის, განზე გადგომა და პირში წყლის ჩაგუბება არჩია. რაღა გასაკვირია, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა და ფართო საზოგადოება ინდიფერენტულად შეხვდნენ ამ მომაკვდინებელ „ნოვაციას“.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, ისევე როგორც კვლევითი ინსტიტუტები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ, საქართველოს კანონმდებლობა კი კრძალავს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის უშუალო დაქვემდებარებაში მოორისაში

(სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ამ საბაბით იქნა დაშლილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც კვლევით დაწესებულებათა ერთიანი სისტემაძ. ამჯერად სხვა გამოსავალი მოიძებნა – პრემიერ-მინისტრის ბრძანებულების საფუძველზე კვლევით დაწესებულებებს გაუუქმდათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რაც პრაქტიკულად სხვა არაფერია, თუ არა მათი ლიკვიდაცია, ხოლო ინსტიტუტების კუთვნილი უძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა, როგორც ეს თავიდანვე იყო ჩაფიქრებული.

2010 წლის მიწურულს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კიდევ ერთი „სიურპრიზი" შემოგვთავაზა: სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის დღემდე არსებული სტატუსის გაუქმება და მათი გადაკეთება კერძო სამართლის იურიდიულ პირებად, რომელთა დამფუძნებელიც სახელმწიფო იქნება. „რა უნდათ, რატომ არ ასვენებთ გამჩენი?" – იკითხავს კაცი. პასუხი მარტივია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის დანიშვნა ან გათავისუფლება, ასეთი დაწესებულების კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება ან ორგანიზაციის ლიკვიდაცია სახელმწიფოს იურიდიულად არ შეუძლია. სამაგიეროდ, კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ამის შესაძლებლობას იძლევა. ტოტალური კონტროლი, პირდაპირი მართვა და ქონების თავისი ჭკუით განკარგვა – ეს არის მთელი ამ „რეფორმის" ფილოსოფიაც, მისაღწევი მიზანიცა და სავარაუდო შედეგიც. ძნელი მისახვედრი არ არის, რა ბედი ელის კვლევითი ინსტიტუტების ნგრევას გადარჩენილ მცირერიცხოვან სამეცნიერო კადრებს, რომლებიც სრულიად გაურკვეველი სტატუსით არიან შეხიზნულნი უნივერსიტეტებში.

ამ „რევოლუციური ცვლილებების" შედეგად, საქართველომ დაკარგა ამიერკავკასიის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრის ფუნქცია, რომელიც მას ჰქონდა შუა საუკუნეებშიც, XIX-XX საუკუნეების რუსულ იმპერიაშიც და საბჭოთა ოკუპაციის პირობებშიც. როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიის ხალხთა ინტელექტუალური ელიტა საქართველოში ხედავდა საკუთარი ეროვნული იდენტობისა და კულტურის დასაყრდენს. თუ კარგად ჩავუკვირდებით, რეგიონული ლიდერის პოზიციის დაკარგვა ჩვენთვის სრული გეოპოლიტიკური კატასტროფის ტოლფასია; კატასტროფისა, რომლის შედეგებსაც უკვე ვიმკით.

თუ ვინმეს აქამდე კიდევ რაიმე ილუზია გააჩნდა, ახლა ხომ მაინც ცხადია, რომ ხელისუფლების ყველა ეს „რეფორმატორული" მოქმედება სპობს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის თვითორგანიზებადი, სისტემური განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას. ეს კი თითქმის შეუძლებელს ხდის მეცნიერული აზროვნებისა და, ზოგადად, აზროვნების კულტურის განვითარებას საქართველოში; ქართულ და დასავლურ საზოგადოებებს შორის ქმნის მენტალურ ზღუდეს; საბოლოოდ კი, უკვე საკმაოდ ახლო მომავალში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციობის შესაძლებლობას, ხოლო ქართველებს აქცევს უაზრო, არაკრეატიულ, პარაზიტ, მორჩილ და სხვის მომსახურე ადამიანთა მექანიკურ ერთობლიობად.

გასაოცარია, რომ განათლების სისტემასა და მეცნიერებაში შექმნილი კატასტროფული ვითარება ვერ გახდა მწვავე პოლიტიკური დებატების თემა, ფართო საზოგადოებრივი განსჯისა და დაფიქრების საგანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენ საერთოდ არ ვფიქრობთ ჩვენი მომავალი თაობების, თითოეული ჩვენგანისა და, ზოგადად, ქვეყნის მომავალზე. სამაგიეროდ დაკავებულები ვართ კინკლაობით, ერთმანეთის ლაფში ამოსვრითა და ვიწრო, ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებით, რასაც დიდი სიამოვნებითა და თავგამოდებით ხელს უწყობს და აღვივებს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედია.

* * *

2010-მა წელმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა ის სავალალო, საზოგადოებისათვის უკიდურესად სახიფათო მდგომარეობა, რომელიც ქართულ მედიასივრცეში, განსაკუთრებით კი ელექტრონულ მედიაშია შექმნილი. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ე. წ. „ნაციონალურ" ტელეარხებზე დროის ნახევარი ეთმობა ნაცმოძრაობისა და პირადად სააკაშვილის აღვირახსნილ, ზღვარდაუდებელ პანეგირიკსა და პროპაგანდას, შეთქმულების თეორიებს, ფაქტების დამახინჯებას, მიჩქმალვასა და პირდაპირ სიცრუეს, ცალკეულ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა დემონიზაციასა და სხვ.

საეთერო დროის მეორე, არანაკლებ სოლიდური, ნაწილი კი ბედნიერი ცხოვრების ილუზიისა და აყვავებული ქვეყნის ვირტუალური სიმულაციისათვის არის განკუთვნილი. დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე ჩვენ ვხედავთ ჯანმრთელ, მომღიმარ მშენებლებს, მევენახეებს, მრეწველებს, პოლიციაზე შეყვარებულ წარჩინებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ვისმენთ და ვუყურებთ „მიშა მაგარიას", პოლიციის ჰიმნის, „გამარჯობა, აფხაზეთო შენის" მაგვარ კლიპებს; კონცერტს კონცერტი ცვლის, პრეზენტაციას პრეზენტაცია, ყველაფერი ლაქირებულია, პრიალა, შუშებში ჩასმული და სტერილური; ერთმანეთის მსგავს საავტორო გადაცემებში ტელეწამყვანები დაკავებულნი არიან ისეთი „აქტუალური საკითხების" განხილვით, როგორებიცაა: ქალიშვილობის ინსტიტუტი და გათხოვების პრობლემა, ვიღაცების ოჯახური ცხოვრების პიკანტური დეტალები, „ცნობადი სახეების" საძინებლები, ძნელია თუ არა იყო ნაბიჭვარი, შელოცვის ძალა, ჯადოქრობა და სისხლიანი სტიგმატები აქამდე უცნობი „ღვთის რჩეულის" ტანზე და ა. შ. და ა. შ. – დაუსრულებლად. ჩვენს „წარმატებულ" საზოგადოებას ხომ მხოლოდ სექსუალური, ოკულტური და წვრილ-წვრილი ოჯახური პრობლემების მოგვარებაღა დარჩა სრული ბედნიერებისა და ჰარმონიის მისაღწევად!

ცხადია, ამ ტელენარკოტიკის ერთადერთი დანიშნულება (განათლების ჩვენებურ სისტემასთან ერთადძ ის არის, რომ ვინმეს ღმერთი არ გაუწყრეს და შემთხვევით არ დაიწყოს ფიქრი, აზროვნება, არ მოითხოვოს ანგარიში, სად მიდის და რას ხმარდება ჩვენი ჯიბეებიდან გადასახადების, ათასგვარი ჯარიმებისა და საურავების მეშვეობით ამოცლილი უკანასკნელი გროშები, არ დასვას უხერხული კითხვები, ვთქვათ ასეთი: რატომ არ არის დახურული ზურაბ ჟვანიას ერთობ უცნაურ გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმე? რატომ გვხვდებიან თბილისის კაფეებსა და რესტორნებში სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და სხვა ახალგაზრდების მკვლელები, ნაცვლად იმისა, რომ ციხეში ისხდნენ? რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სამ-ნახევარმილიონიანი საქართველოს 300 000 მოქალაქეს ან პატიმრობა აქვს გამოვლილი, ან ახლაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმყოფება? პასუხისმგებლობის რა ნაწილი ეკისრება სააკაშვილსა და მის გარემოცვას რუსეთის სამხედრო აგრესიასა და ტერიტორიების ოკუპაციაში? რაზე მიუთითებს ხელისუფლების უმაღლეს პირთა ბოლოდროინდელი განცხადებები საქართველოში სინგაპურის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით? რას მოუტანს საქართველოს ირანთან უვიზო მიმოსვლის შემოღება ან ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარება? რატომ მშობიარობს ქალაქის მერის მეუღლე სხვა ქვეყნის დედაქალაქში და რა ფულით იქნა ნაქირავები თვითმფრინავი მის გულშემატკივართა ვენაში ჩასაყვანად და ა. შ.

ეს საკითხები ხელისუფლების მორჩილ ტელემედიას არ აინტერესებს. ის ჩვენთვის განკუთვნილი ტელენარკოტიკის მორიგი ულუფის შექმნითაა დაკავებული. თუმცა ერთხელ, გაზაფხულზე, ერთ-ერთ არხს რეცეპტურა აერია და დასაშვებ დოზას გადაამეტა, როდესაც „მოდელირებული ქრონიკა" გვაჩვენა. ეს იმდენად საშიში, თავხედური და ცინიკური გამოწვევა იყო, რომ სააკაშვილის ნაბოძებ მილიონებს შეჩვეული უცხოელი ექსპერტები, ლობისტები და პიარჯგუფებიც კი შეშფოთდნენ. რაკი საკითხი რუსეთ-საქართველოს ომს და რეგიონულ მშვიდობას ეხებოდა, საერთაშორისო სკანდალი ატყდა და სიმართლე მალე გაირკვა, მაგრამ ვინ იცის, რამდენ ასეთ „მოდელირებულ ქრონიკას" ვუყურებთ ყოველდღიურად და ვერ ვხვდებით, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს. მოიძებნნენ ისეთებიც, რომლებმაც ყველაფერი ჟურნალისტების დაბალ პროფესიულ დონეს მიაწერეს და სიტყვაც კი არ დაუძრავთ მორალის დეფიციტზე, მონურ მენტალიტეტზე და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა აბუჩად აგდებაზე.

**და ჩაგრულებს შორის ადგილების –ბუნებით სამართალთან თანხმობაში მის წინაშე თანასწორობა**

სინამდვილეში კი სწორედ მორალის დეფიციტია ქართული მედიის, პოლიტიკური კლასისა და მთელი ჩვენი საზოგადოების პრობლემა, ყველა განსაცდელის წყარო და სათავე.

* * *

2011 წელს მრავალი ჩვენი თანამოქალაქე შეხვდა უარესი მომავლის შიშით, ოპოზიციის მიმართ გაჩენილი გალიზიანებით, ხოლო ხელისუფლების მიმართ ულონო გაბოროტებით, გულში ჩაგუბებული ბოლმითა და შურისძიების სურვილით. მაგრამ შიში და მრისხანება ყველაზე ცუდი მრჩევლები და მოკავშირეები არიან. ვინმეს გადასაგდებად, ან, მით უფრო, მოსასპობად წამოწყებული ბრძოლა მხოლოდ ბოროტებას ამრავლებს და აძლიერებს. გამსახურდიასა და შევარდნაძის ჩამოსაგდებად წამოწყებულმა მოძრაობებმა ეს თვალნათლივ დაგვანახვა. ამ გადატრიალებებისა თუ რევოლუციების შედეგად არც ქვეყანა გაძლიერებულა, არც ხალხი გამხდარა უფრო ბედნიერი და მდიდარი, არც კულტურა და მეცნიერება აყვავებულა და არც მომავალი თაობების განათლების დონე ამაღლებულა. სწორედაც რომ პირიქით. მაშ რა ვქნათ, რა წყალს მივცეთ თავი?

**ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემა მიშა კი არ არის (ასეთები მრავლად მოიძებნებიან), არამედ ჩვენი ბოლმა და ცოფია, რაც საშუალებას აძლევს უკანასკნელ ვიგინდარას, მანიაკსა და სადისტს სათავეში მოექცეს ქვეყანას მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.**

**პირველ რიგში ჩვენ, მთელი საზოგადოება, თითოეული აქ მცხოვრები ადამიანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ რისთვის, რა იდეალებისათვის, როგორი მომავლისათვის ვიბრძვით. კარგად გავიაზროთ და დავარწმუნოთ საკუთარი თავიც, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ხალხიც და საერთაშორისო საზოგადოებრიობაც, რომ ჩვენი ბრძოლის მიზანი არ არის ერთი უსამართლობისა და პარანოიის მეორით ჩანაცვლება**

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული, დამცირებული და დამშეული გერმანელები ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენასა და შურისძიებაზე ფიქრობდნენ. და სწორედ მაშინ, ამ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა – თავისი ბედი და მომავალი ქარიზმატულ გმირს, მანიაკალური მიდრეკილებების ლიდერს მიანდო. ის, რაც ადოლფ ჰიტლერმა ჩაიდინა საკუთარი ხალხისა და მსოფლიოს წინაშე, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ნანგრევებისა და ფერფლის გროვად ქცეული ქვეყანა ვერ გახდებოდა თანამედროვე, დემოკრატიული, ძლიერი და აყვავებული სახელმწიფო, გერმანელებს ისევ ახალი მესიის ძებნა რომ დაეწყოთ და შურისძიების სტიქიისათვის მიეცათ ასპარეზი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ დიდმა ერმა საკუთარი შეცდომა აღარ გაიმეორა, გარეული და შინაური მტრების ძებნა არ დაიწყო და მომხდარ ტრაგედიაში საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, პირუთვნელი შეფასება და მონანიება მოახერხა. ახალი გერმანიის შენება არ დაწყებულა ვინმეს ჯიბრზე, ვილაცისათვის სამაგიეროს გადასახდელად ან დასათრგუნად.

იქნებ ჩვენც გერმანელებს მივბაძოთ და საკუთარი შეცდომებისა თუ დანაშაულის გაანალიზება-აღიარება მოვახერხოთ. ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემა მიშა კი არ არის (ასეთები მრავლად მოიძებნებიანძ, არამედ ჩვენი ბოლმა და ცოფია, რაც საშუალებას აძლევს უკანასკნელ ვიგინდარას, მანიაკსა და სადისტს სათავეში მოექცეს ქვეყანას მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

პირველ რიგში ჩვენ, მთელი საზოგადოება, თითოეული აქ მცხოვრები ადამიანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ რისთვის, რა იდეალებისათვის, როგორი მომავლისათვის ვიბრძვით. კარგად გავიაზროთ და დავარწმუნოთ საკუთარი თავიც, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ხალხიც და საერთაშორისო საზოგადოებრიობაც, რომ ჩვენი ბრძოლის მიზანი არ არის ერთი უსამართლობისა და პარანოიის მეორით ჩანაცვლება; ჩვენი ბრძოლის შედეგი მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის ადგილების უბრალო გაცვლა კი არ იქნება, არამედ – ბუნებით სამართალთან თანხმობაში მყოფი კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა. ჩვენ ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ აღარ გვსურს ვიყოთ ჩაგრულები, მაგრამ ასევე მთელი გულით გვინდა, რომ არც ის იყოს მჩაგვრელის როლში, ვისაც დღეს პოლიტიკური დაკვეთისა და დანაშაულებრივი ბრძანებების აღსრულება უწევს, ჩვენ იმისთვისაც ვიბრძვით, რომ ისინი გავათავისუფლოთ ამ სამარცხვინო როლისაგან.

ჩვენი ბრძოლის კიდევ ერთი (იქნებ, უმთავრესიძ მიზანი კლასიკურ ევროპულ ტრადიციასთან დაბრუნებაა, რაც ანტიკური (ბერძნულ-რომაულიძ სიბრძნისმეტყველების, ქრისტიანული ეთიკისა და კლასიკური ლიბერალიზმის უმთავრესი ფასეულობის – ადამიანის – პიროვნული თავისუფლების სინთეზია. ეს ჩვენი ორგანული გარემო და სტიქიაა, რასაც „ვეფხისტყაოსანთან", ვაჟა-ფშაველასთან და XIX საუკუნის კლასიკური ლიბერალიზმის მედროშის, ილია ჭავჭავაძის, ნააზრევთან მივყავართ. სასიხარულოა, რომ საზოგადოებრივ სექტორში ამ მიმართულებით ფიქრი და მუშაობა უკვე დაწყებულია.

თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სასიკეთო ცვლილება განხორციელდეს, ამისთვის, უპირველს ყოვლისა, თავი უნდა დავაღწიოთ მიმდინარე მომენტისა და კონიუნქტურის ტყვეობას, კარგად გავიაზროთ ჩვენი წარსული, ჩვენი როლი და ადგილი დღევანდელ სამყაროში, იდეალები, რომლებისთვისაც ღირს თავის გაწირვა და მაშინ საზოგადოება შეძლებს გაჯანსაღებას, გაერთიანებას, პოლიტიკური ძალებისათვის სწორი და გასაგები დაკვეთის მიცემასა და სანუკვარი მიზნის მიღწევას.

„ქართული აკადემია"
30.XII.2010.

◉ რა დღეშიც ვართ

# ქარის მოტანილს ქარსვე ატანენ, ოღონდ ეს არის, - პულტი არა აქვთ

***საქართველოს ბიუჯეტის მოუწესრიგებლობასა და ძნელად პროგნოზირებას მრავალი გარემოება მოწმობს. მაგალითად, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ შარშან ნოემბერში სახელმწიფო ხაზინაში დაახლოებით 400 მილიონი ლარის ოდენობის ნაშთის ნაცვლად, „მოულოდნელად“... მილიარდი ლარის ნაშთი გაჩნდა (?!). ეს გარემოება არანაირი საპროგნოზო გეგმაში ასახული არ ყოფილა და ამ თანხის წარმომავლობა, მისი სტრუქტურის გაშიფვრა, სათანადო სახელმწიფო უწყებებმა არაფრით არ ისურვეს. ამასთან, ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ეკონომიკა, უკანუკან თუ არ მიდის, უკეთეს შემთხვევაში, ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის, ხოლო ექსპორტის თუნდაც უმნიშვნელო ზრდა, რომელიც წლის მიწურულს დაფიქსირდა, ისევ და ისევ ფერადი და შავი ლითონების ჯართის გატანის, ასევე... ავტომანქანების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანის ხარჯზე დაფიქსირდა, რაც სატირალი რომ არ იყოს, ნამდვილად სასაცილო იქნებოდა.***

შესავლის სიდიდე იმითაა გამოწვეული, რომ მკითხველთათვის კიდევ ერთხელ დაგვენახვებინა, რომ იმ ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც „სიაფანდ“ რეიტინგებში „გამარჯვებების“ მიუხედავად, ჯართისა და სხვათა გამონაცვალი ავტომანქანების ხელახლა გადაყიდვის ხარჯზე „ვითარდება“, ყოველთვის არაპროგნოზირებადი იქნება. ამდენად, ზევით ნახსენები სახელმწიფო ხაზინის ჩვეულებრივზე 2,5-ჯერ მეტი ნაშთი ისევ იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროს ფისკალურ სამსახურთა და არა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების „საქობალიოს“ დამსახურებაა. სიტყვას მოყვა და იმასაც ვიტყვით, ეკონომიკის მინისტრი ქალბატონი ვერონიკა, რომელსაც მოსახლეობაში მუთაქაში „შემთხვევით შემონახული“ 4 მილიონი ლარი, ან, თუნდაც, 100 ათასი ლარი ეგულება, ეკონომიკისგან ისევე შორსაა, როგორც საფინანსო კატეგორიებით ოპერირების უნარიდან.

თუმცა კალამი ისევ გამექცა და მთავარ სათქმელს ავცდი. მთავარი კი ის არის, რომ, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს, „... ბოროტი ადვილად არ თმობს პოზიციებს და ახალ-ახალ მოულოდნელობებს გვთავაზობს“. ამ „ახალ-ახალ მოულოდნელობათაგან“ ერთ-ერთი, ჩვენი აზრით, სრულიად აღმაშფოთებელი გარემოებაა, რომელიც საქართველოს წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტშია ასახული.

**საქმე ის არის, რომ მთავრობა ბიუჯეტის შევსების ისევ ახალ-ახალი ბეგარებისა და გადასახადების დაწესებით, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე, სოციალური პროგრამების მარტო შემცირებით კი არა, სრული გაუქმებით აპირებს. კერძოდ, წლევანდელ ბიუჯეტში ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის პროგრამა ერთიანადაა გაუქმებული.**

არადა, ეს პროგრამა სრულიად უბადრუკი იყო ჯერ კიდევ შარშან, — მისთვის მხოლოდ 97 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მწირი თანხაც გარკვეული შეღავათი იყო იმ გაჭირვებული მშობლებისთვის, რომლებიც საბავშვო ბაღის გადასახადს არ იხდიდნენ, ხშირად ერთ კი არა, ორ და მეტ შვილზე.

დამდგარი იანვრიდან მოყოლებული კი, ერთიანად ყველა მშობელს, უკვე სოციალური სტატუსისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ბეგარა-გადასახადების ნუსხას „საბავშვო ბაღის გადასახადი“ დაემატა. საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინათ **საქართველოს პრეზიდენტმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ბავშვის საბავშვო ბაღში მიბარება სულ მცირე ორი წლით მაინც სავალდებულო იქნება თუნდაც იმ მშობლებისთვის, ვინც შვილის მომავალზე ოდნავ მაინც ფიქრობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შაშკინის უწყება... სასკოლო პროგრამის გავლის ნებას არ დართავს!** ეს კი, ავტომატურად, იმას ნიშნავს, რომ მშობლებმა საბავშვო ბაღის გადასახადიც, სავარაუდოდ, თითო ბავშვზე 70 ლარი უნდა გადაიხადონ!

მსგავსი რამ, დარწმუნებული ვართ, სომალიშიც არ ხდება, სადაც ხალხი პირდაპირ, დაუფარავ ყაჩაღობას ამჯობინებს! ამით მთავრობა კიდევ ერთ კურდღელს კლავს: მართალია, კომერციულ საბავშვო ბაღებში უკეთესი პირობებია, მაგრამ აქამდე ფინანსურად ნაკლები შესაძლებლობების მქონე მშობლები ე.წ. „სახელმწიფო“ საბავშვო ბაღებს ამჯობინებდნენ, რაც, ცხადია, შედარებით დაბალი გადასახადით იყო განპირობებული. ახლა, ხელისუფლება მოიხსნის იმ საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობაზე ზრუნვას, იქაურ პერსონალსაც მშობლების ხარჯზე „დაასაქმებს“ და... „ტაში, კუკური!“.

„საბავშვო სფეროში“ „დისკრიმინირების“ პროცესი ადრევე დაიწყო, როცა საბავშვო ბაღში უფასოდ სიარულის ნება მხოლოდ თბილისში რეგისტრირებულ ბავშვებს დართეს, დანარჩენებს კი (შესაბამისად, იძულებით თუ ნებით ადგილნაცვალთა შვილებსძ გადასახადი დაუწესეს, რის მიზეზად დედაქალაქის მერიაში საბავშვო ბაღებში სოფლელი ბავშვების მოზღვავება დაასახელეს.

არადა, იქნებ „მოექექათ“ თბილისის ბიუჯეტი და უაზრო, თუნდაც საახალწლოდ თუ ათასგვარ სხვა მიზეზთა გამო ატეხილი უამრავი აურზაურის დაფინანსების მაგივრად იმ საცოდავი ბავშვების საბავშვო ბაღებში სიარულისთვის გაეღოთ სახსრები?! თუმცა ასეთ ბავშვთა „გათბილისელება“ მაინც შესაძლებელი ყოფილა... სამოქალაქო რეესტრში ხუთლარიანი რეგისტრაციის საფასურად. მოკლედ, სადაც და რაშიც შეუძლიათ, ფულს აკეთებენ.

სამართლიანობა მაინც მოითხოვს ვთქვათ, რომ „ჰაერში“ მოხსნილი, მოსახლეობის გატყავებით აღებულ ფულს ასევე „ჰაერში“ ისვრის ეს ჩვენი ხელისუფლება. ერთია მხოლოდ: პროცესის რეგულირების პულტი აშკარად არა აქვს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ გლობუსი

**ძველი და ახალი საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს სუპერ მოთამაშეთა რიცხვში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი კომუნისტურმა ჩინეთმა. 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში მან საერთო ეროვნული პროდუქტიის წარმოების საშუალო წლიური მაჩვენებლით — 9- 10 პროცენტით არა მარტო ევროკავშირის ლოკომოტივად შერაცხულ გერმანიას გაუსწრო, არამედ მსოფლიოს მეორე ეკონომიკას — იაპონიას და აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში. ჩინეთმა ყველაზე უკეთ გადაიტანა საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც სამი წლის განმავლობაში მუსრს ავლებს არა მარტო აშშ-ს, არამედ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რუსეთს, სხვებს. სპეციალისტების მიხედვით, თუ ჩინეთმა ტრიუმფალური აღმასვლა გააგრძელა, 15-20 წლის შემდეგ ის აშშ-ც გაუსწრებს.**

უდიდესი კულტურისა და ისტორიის სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა უსერიოზულესი პრობლემა — საკუთარი მოსახლეობის გამოკვება. ამ მხრივ განსაკუთრებული თავსატეხი კომუნისტებს შეექმნათ. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ჩინეთის საზოგადოებამ ვერაფრით დაძლია შიმშილობა, კატასტროფული ჩამორჩენილობა სოციალურ-ეკონომიკურ დარგში. კომუნისტური ჩინეთის ჩამორჩენილობა კიდევ უფრო გააღრმავა 1966 წელს დაწყებულმა კულტურულმა რევოლუციამ, ათწლიანი ექსპერიმენტი ძვირი დაუჯდა ჩინეთს. ქვეყანა ისეთ დონეზე დაეშვა, ვერავინ იფიქრებდა მის წამოდგომას, მაგრამ არსებობს სასწაულები. სწორედ სასწაულმა (და არა მარტო მანძ გადაარჩინა მოსახლეობის თვალსაზრისით პირველი ქვეყანა განადგურებას.

სახელმწიფოთა ისტორიაში ჰქონია და აქვს ადგილი პიროვნების, ლიდერის როლს, რომლის გამოჩენა დადებითობის ან უარყოფითობისკენ აბრუნებს ქვეყნის ბედის ბორბალს. მილიარდნახევრიანი ჩინეთისათვის სწორედ ასეთი ლიდერი იყო კულტურული რევოლუციის მსხვერპლი, პარტიული ფუნქციონერი დენ სიაოპინი. მან ჩაუყარა საფუძველი იმ ეკონომიკურ გარდაქმნებს, რომელმაც 30 წლის განმავლობაში მშიერი ქვეყანა მოწინავედ აქცია. **დენ სიაოპინის მახვილი გამონათქვამი — „მნიშვნელობა არა აქვს რა ფერის არის კატა, მთავარია თაგვებს იჭერდეს“, მეორე გამონათქვამთან — „მდინარეში ჩასვლისას ფრთხილად მოსინჯე ქვები“ ერთად შეგონებად იქცა თითოეული ჩინელისათვის.**

ჩინეთის აღორძინების საიდუმლოება მრავალ ფაქტორს უკავშირდება. ერთ-ერთი, კონფუცის იდეოლოგიაა. საუკუნეთა განმავლობაში ეს იდეოლოგია გაჯდა ჩინეთის მოსახლეობაში. კონფუციანიზმმა მიაჩვია ჩინელები მოკრძალებულ ანაზღაურებაზე მუყაით შრომას, რაც ჯამში ხარისხიან, იაფფასიან პროდუქციას იძლევა.

**მეორე არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი არის ავტორიტარული მმართველობა, მისი ზომიერება. ისტორიულად ჩინელი მმართველები ყოველთვის ცდილობდნენ მორალური პრინციპების განუხრელ დაცვას. მათთვის მთავარი იყო ზომიერება, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გამოვლინება. ისე, როგორც სხვაგან, არც ჩინეთის ხელისუფალთათვის არის უცხო კორუფცია, მაგრამ სახელმწიფო მოხელეები მაქსიმალურად ცდილობენ ზომიერების შენარჩუნებას, არ თელავენ მშრომელთა ინტერესებს, ზრუნავენ მათი კეთილდღეობისთვის. ამ პრინციპების დამრღვევს ციხე არ ასცდებოდა, ისე, როგორც სივდილით დასჯა.**

ღია კარის პოლიტიკა წარმატების არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია. რეფორმებამდე ჩინეთი კარჩაკეტილი ქვეყანა იყო. ღია კარის პოლიტიკას ხელი შეუწყო თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნამ. თავისებურ მინი სახელმწიფოებში კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის ზეობაა. აქ უცხოელები უდიდესი შეღავათებით სარგებლობენ, როგორც გადასახადების გადახდის თვალსაზრისით, ისე ქვეყანაში შესვლა-გასვლაში. თავისუფალი ეკონომიკური

# შიმშილიდან მოწინავეობამდე




სიკეთეები თანამიმდევრულად გაიზიარეს ჩინეთის სხვა რეგიონებმაც. ზონებმა ძირფესვიანად გარდაქმნეს კომუნისტური ჩინეთი. **ჩინური თავისუფალი ეკონომიკური ზონების ხიბლი ბევრმა ქვეყანამ გაიზიარა. ის საქართველოსაც, კერძოდ აჭარას მოწვდა. 1995 წლიდან დაწყებული ავტონომიის ხელისუფლება დაბეჯითებით ცდილობდა ოფიციალური თბილისის დარწმუნებას თავისუფალი ეკონომიკური ზონების სიკეთეში. მცდელობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა ჩინეთის თავისუფალი ზონის გაცნობის შემდეგ. გამოცდილების გაზიარების მიზნით ბათუმში მოწვეულ იქნა გუანკოუს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი. ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა კანონპროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინა პარლამენტს, მაგრამ მას არსებობა არ ეწერა. ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული პერმანენტული კინკლაობის შედეგად პარლამენტმა კანონპროექტი ჩააგდო მოტივით — თავისუფალ ზონას სეპარტიზმი შეიძლება მოყვესო. ასეთი იყო პოლიტიკოსებისა და „ღრმადგანსწავლული“ ეკონომისტების განცხადება.**

ჩინურ წარმოებას ხელს უწყობს უცხოელთა მიმართ კეთილი განწყობა. უცხოელი კომფორტულად გრძნობს თავს ამ ქვეყანაში. იაფფასიანი სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი, ინტერნეტი იზიდავს მათ.

დასავლელი ადამიანის უფლებათა დამცველები დაუღალავად აკრიტიკებენ ჩინეთს ადამიანის უფლებათა დარღვევაში, დემოკრატიის უქონლობაში, რელიგიურ, ეთნიკურ პრობლემებში, **თუმცა იგივე დასავლელი ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ ბიზნესისათვის გაცილებით მისაღებია ჩინური ავტორიტარიზმი და აქედან გამომდინარე სტაბილურობა.** ჩინეთს არ ემუქრება ნაციონალიზმი, დესტაბილიზაცია ტიბეტის ან უიგურთა სახით, რელიგიური ექსტრემიზმი, რადიკალური ისლამის გამოხდომები, ტერორიზმი. ადამიანის უფლებათა დაცვის იდეები, თითოეული ადამიანის სიცოცხლე, ბავშვის ცრემლი, ჩინელის გულის სიღრმემდე არ დადის. სპეციალისტთა აზრით ჩინეთი კლასიკური აღმოსავლური დესპოტიზმის გამოვლინებაა, სადაც ყველაზე მაღალი ფასეულობა — სახელმწიფოა. ჩინური გარდაქმნების მეზაირალე დენ სიაოპინი წამითაც არ დაფიქრებულა პეკინის მთავარ მოედანზე, ტიანანმენზე შეკრებილი ლიბერალური ამბოხების წინააღმდეგ. ტანკების გამოსაყვანად 10.000 კაცი შეეწირა ხელისუფლება-ლიბერალების დაპირისპირებას.

ქვეყნის მოდერნიზაციას ემსახურება ჩინეთის დიპლომატია. რეფორმების დაწყებამდე ჩინეთმა აქტიური კონტაქტები დაამყარა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან. ურთიერთობას საფუძვლად ედო მოსკოვის ექსპანსიონიზმი. ოფიციალური ჩინეთის ამგვარმა პოლიტიკამ უცბად მიიპყრო ამერიკა-ევროპის ყურადღება. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არსებულ ცივ ომში ჩინეთის ჩართვა დასავლური დიპლომატიის წარმატებად ითვლებოდა. პრაქტიკულმა ნაბიჯებმაც არ დააყოვნა. ჩინეთში უხვად წავიდა დასავლური კაპიტალი. მოგვიანებით პეკინმა გააანალიზა შექმნილი ვითარება და სწრაფად დაიწყო დასავლური კურსის შეცვლა. დღევანდელი პოლიტიკა ეფუძნება ჩინეთის საზღვრებთან მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნას, ჩინეთის ბაზარზე მეტი ინვესტიციის მოზიდვას. ჩინეთი არ ილტვის ჰეგემონიზმისაკენ. ის თავშეკავებულად, ფრთხილად იქცევა. სხვას თავს არ ახვევს საკუთარ მოსაზრებას, არ ერევა სხვის კონფლიქტში. ქვეყანა წარმატებით ასრულებს დენ სიაოპინის დანაბარებს — ყოველგვარი გამოხდომებისგან თავის შეკავება.

**თანამედროვე ჩინეთი არ ცდილობს სხვასთან ალიანსის შექმნას, ვინაიდან ასეთი, ხელს შეუშლის მესამე ქვეყანასთან ურთიერთობას. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის მოკავშირის მიერ ჩინეთის ავტორიტეტის გამოყენებაც. ჩინეთი მზადაა ყველასთან იქონიოს ურთიერთსარგებლიანი კავშირები. ჩინეთის ამოცანაა დაძლიოს ან გვერდზე გადადოს მეზობლებთან არსებული საკამათო საკითხები. ჯერაც არ დავიწყებიათ რუსეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტი, 1964 წელს მაო ძედუნის განცხადება, რომ ბაიკალის აღმოსავლეთით ტერიტორიები ისტორიულად ჩინეთისაა. დღეს მსგავსი ტერიტორიული პრეტენზიები მოხსნილია. მიუხედავად ამისა, ჩინეთს აქვს საკმაო ტერიტორიული საკითხები იაპონიასთან, სხვასთან, მაგრამ ის ცდილობს, რომ კამათი კონფლიქტში არ გადაიზარდოს.** ჩინეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტაივანის შემოერთებას. პეკინი მოქნილი დიპლომატიით ცდილობს, გააფართოოს კუნძულთან ურთიერთობა, დაკარგულის შემოერთების საქმეში (ჰონკონგი, მაკაოძ, ჩინეთს დიდი გამოცდილება აქვს. „რბილი“ შეერთება შესაძლოა მაგალითი იყოს ტაივანის დაბრუნებისათვის. ჩინური გამოცდილება ამ საქმეში ისეთივე საინტერესო უნდა ყოფილიყო საქართველოსთვის, როგორც თავისუფალი ეკონომიკური ზონა. **ჩინური გამოცდილებისათვის ყურადღების მიქცევას ემსახურებოდა საქართველოს ხელისუფალთა, პარლამენტართა, მათ შორის აფხაზეთის ფრაქციის წევრთა ინფორმირება, სამწუხაროდ უშედეგოდ. უსაფუძვლო ანტაგონიზმით შეხვდნენ ისინი ამ საქმეს.**

30 წელი გავიდა რეფორმების დაწყების შემდეგ. მშიერი ჩინეთი მოწინავე ქვეყნად გადაიქცა. ის სულ უფრო ენერგიულად, შეუპოვრად მოქმედებს საერთაშორისო არენაზე, თუმცა ამას აკეთებს ფრთხილად, დოზირებულად, გამოდის რა იქიდან, რომ დასავლეთთან ურთიერთობა ჩინეთის ინტერესებშია.

დასავლეთის დამოკიდებულება ჩინეთისადმი არაერთგვაროვანია. ჩინეთი ის დიდი ქარხანაა, რომელიც აწარმოებს მსოფლიო პროდუქციას და რომლის შექმნაში დიდი წვლილი შეაქვს როგორც დასავლურ ტექნოლოგიას, ისე კაპიტალს. ამასთან ერთად არსებობს ფარული შიშიც — წყნარი გიგანტი დარჩება თუ არა ასეთად მომავალშიც. ჩინეთთან ურთიერთობით სერიოზულად არის დაინტერესებული აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, სხვა ქვეყნები. ვისთან იქნება ჩინეთი რუსეთთან თუ ამერიკასთან ან საერთოდ იქნება თუ არა მათთან, ღრმა ანალიზის თემაა, როგორც მოსკოვში, ისე ვაშინგტონში. ამ საკითხს მომავალში შევეხებით.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

## ეკლესიის უმაღლესი ჯილდო



***უწმინდესმა** და უნეტარესმა ილია მეორემ საზოგადო მოღვაწეები წმინდა გიორგის სახელობის ოქროს ორდენებით დააჯილდოვა. სამების საპატრიარქო ტაძარში საშობაო ღვთისმსახურების აღვლენის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა, მრევლს შობის დადგომა მიულოცა, შემდეგ კი, ოთხ საზოგადო მოღვაწეს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის სახელობის ოქროს ორდენი გადასცა.*

*უწმინდესის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში კულტურის განვითარებაში გამორჩეული ღვაწლისთვის წმინდა გიორგის ორდენით **სვეტლანა ქეცბა** დაჯილდოვდა, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების განმტკიცებისთვის დაჯილდოვდა **ზურაბ ჩიქოვანი**, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დარგში თვალსაჩინო წვლილისათვის — აკადემიკოსი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **შოთა ნადირაშვილი**. ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ოქროს ორდენი მწერლობაში დიდი ღვაწლისათვის **მზია ხეთაგურს** გადაეცა.*



დაჯილდოების შემდეგ ქალბატონმა **სვეტლანა ქეცბამ** მოკრძალებული კომენტარი გააკეთა და დასძინა, რომ ასეთ დიდ ჯილდოს, შესაძლოა, არც იმსახურებს. და კიდევ ბევრი უნდა იმუშაკოს, ამას ეს ჯილდო ავალდებულებს.

**ბიოგრაფიიდან**: სოხუმში დაიბადა, სოხუმის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მე-4 სკოლაში სწავლობდა, სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი 1958 წელს დაამთავრა. წარჩინებით დაასრულა თბილისის სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

სვეტლანა ქეცბას დიდი როლი მიუძღვის აფხაზური კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში. მან სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელთან აფხაზეთის ბავშვთა საგუნდო სკოლა გახსნა, აფხაზეთში ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდა მის სახელს უკავშირდება; აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის ფორმირებასა და განვითარებაში. აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირს ხელმძღვანელობდა 1971 წლიდან 22 წლის განმავლობაში.

1992-93 წლებში, ომის პერიოდში აქტიურად მუშაობდა კულტურული მემკვიდრეობისა და ადამიანური რესურსების შენარჩუნებისათვის.

სვეტლანა ქეცბას სახელს უკავშირდება კულტურის დევნილი ორგანიზაციების აღდგენა-გახსნა. ესენია: სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელმწიფო თეატრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი „თეთრი ტალღა,“ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „დიოსკურია,“ მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლები და სკოლები, კულტურის სახლი წყნეთში, მხატვართა და ქორეოგრაფთა კავშირები...

არის ღირსების ორდენის კავალერი, აფხაზეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დაჯილდოებულია პოლონეთის სეიმის მედლით, ქალთა კომიტეტის მედლით.



შობის დღეს ბედნიერი იყო ბატონი **ზურაბ ჩიქოვანი**. „ასეთი ბედნიერება ცხოვრებაში რამდენიმეა — ქორწილი, შვილებისა და შვილიშვილების დაბადება... სიტყვები არ მყოფნის სიხარულის გამოსახატავად!“ — წარმოთქვა და მოწიწებით ემთხვია პატრიარქს დაჯილდოების შემდეგ.

დაიბადა 1945 წლის 11 თებერვალს ოჩამჩირეში. მამა პროფესიით ქირურგი იყო, ადრე გარდაიცვალა და ობლად გაიზარდა. ოჯახიდან, დედისგან დაჰყვა კეთილშობილება, სიკეთე და მოყვასის სიყვარული. გადაწყვიტა ექიმი გამხდარიყო და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კარი შეაღო. წარჩინებით დაასრულა სამკურნალო ფაკულტეტი. ერთხანს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში კადრების სამმართველოს უფროსად მუშაობდა... ბოლო 30 წელია თბილისის №3 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის გენერალური დირექტორია.

რას არ ამბობენ ზურაბ ჩიქოვანზე, თითქმის ლეგენდებს ჰყვებიან...

— ქველმოქმედებასა თუ სამშობლოს სიყვარულში, აფხაზურ-ქართული ურთიერთობების განმტკიცებაში მას ვერავინ შეედრება. აფხაზეთში დატრიალებული საშინელების შემდეგ ზურაბი დღე და ღამე დევნილებთან იმყოფებოდა, ისინი ჩვენს სამკურნალო ცენტრთან არსებულ ობიექტებში შეასახლა, საკუთარ სახლში წაიყვანა კაბინეტშიც დევნილები დააბინავა.

ახლაც ჩვენს ობიექტში დიღმის მასივში დევნილთა 22 ოჯახი ცხოვრობს...მათ ყველანაირად პატრონობს, ეხმარება, თუმცა ქველმოქმედებას ჩუმად აკეთებს. იგი ყველას უყვარს... — მოწიწებით მეუბნება ბატონი ზურაბის თანამშრომელი, №3 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის ტექნიკური დირექტორი, ქალბატონი დალი გოჩიაშვილი.

როცა საბურთალოს ბაზართან ბარაკული ბინები დაანგრიეს, ერთი სომეხი ეროვნების ქალბატონი არ შორდებოდა ამ უბანს, ხან სადარბაზოში ეძინა, ხანაც მუყაოზე, ქუჩაში. ბატონმა ზურაბმა, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ქალი შინ მიიყვანა, საცხოვრებელი მისცა, უმკურნალა. როცა გარდაიცვალა, საკუთარი სახლიდან გაასვენა, ოჯახის წევრივით წესისამებრ ყველაფერი გაუკეთა, რაც საჭიროა მიცვალებულისათვის. მუხათგვერდში დაკრძალა და საფლავზე პალმის ხე დაურგო. განურჩევლად ეროვნებისა, იგი ყველა კარგი ადამიანის ქომაგი და შემწეა.

# „ო, უწმინდესო! რა სიყვარულით გამომარჩიე ცოდვილთა შორის!..“

სასწაული კაცია, არაორდინალური პიროვნება, ასე იცნობენ მას და სჯერათ მისი.

აკადემიკოსი **შოთა ნადირაშვილი** 1926 წლის 26 ივნისს დაიბადა თბილისში. 1944 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში დირექტორის თანამდებობებზე.

არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; სამედიცინო, ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის რექტორია; 1994 წლიდან კი ამერიკის ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დამფუძნებელი საბჭოს წევრია;



გამოსცა 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის — 15 მონოგრაფია.

დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრია.

„თუ ადამიანი არ იმსახურებს და მას მაინც კეთილად ექცევიან, ეს არის მცდელობა, სიკეთით დაამარცხონ მასში არსებული ბოროტება.

ათეისტურად გავიზარდე, ასეთი იყო გარემო ოჯახსა და სკოლაში. ჩემი სკოლა სიონის წინ მდებარეობდა. ტაძარში ხშირად შევდიოდი, მაგრამ არა რწმენის გამო, ხატებს ვათვალიერებდი. ახლა, უკვე ხანდაზმულს, პატრიარქის გამო მართლმადიდებლობის პატივისცემა გამიჩნდა. პატრიარქის სიტყვას ჩემთვის დიდი წონა აქვს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დიდად მორწმუნე გავხდი.

ორი წლის წინათ, აღდგომის კვირაში პატრიარქმა სამებაში დამიბარა. განაცხადა, დღეს მე ერთადერთ ადამიანს ვაზიარებო და საკურთხეველში შემიყვანა. პატრიარქის ნებით ოთხმოც წელს გადაცილებული ვეზიარე...“ — ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბატონი შოთას აზრით, პატრიარქი იყენებს კანონს, რაც ცნობილია ფსიქოლოგიაში, — გიყვარდეს და ეყვარები. შობის დღეს დაჯილდოებაც პატრიარქის ამ სიყვარულის კიდევ ერთი დასტური გახლდათ.

ქალბატონი **მზია ხეთაგური** 1946 წლის 14 მარტს დაიბადა თბილისში. ბავშვობა ცხინვალში გაატარა. დედა ოლქის მთავარი პედიატრი ქრისტინე თედიაშვილი იყო, მამა ვლადიმერ ხეთაგური — ცნობილი ქორეოგრაფი, სუხიშვილების ანსამბლის პირველი მოცეკვავე.

თბილისის ნიჭიერ ბავშვთა ათწლედი ფორტეპიანოს განხრით დაასრულა. შემდეგ — თბილისის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი. ლიტერატურის უმაღლესი კურსები მოსკოვში დაამთავრა, საკანდიდატო ხარისხი როგორც თეატრმცოდნემ, მოსკოვში მიიღო.

ერთხანს მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა, პიანისტი კონცერტებზე გამოდიოდა, ქუთაისის თეატრში მსახიობად მიწვეული იყო, მუშაობდა: კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სასცენარო განყოფილებაში, გამომცემლობა „მერანში“ რედაქტორად, განყოფილების გამგედ ალმანახ „დრამატურგიაში“. 2000 წლიდან 10 წლის განმავლობაში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში მუშაობის დროს, აღსანიშნავია მისი თავდადება და ღვაწლი დიდი პოეტის სახელის უკვდავსაყოფად.

მიღებული აქვს: მაიაკოვსკის, შიო მღვიმელის, ივანე მაჩაბლის, მაყვალა მრევლიშვილის პრემიები. თბილისის მერიის ჯილდო მწერლობაში შეტანილი ღვაწლისთვის; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გამოცემული აქვს 21 კრებული, მათ შორის — ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტიკა, პიესები. სხვადასხვა ენიდან თარგმნა მრავალი ლექსი და პროზაული ნაწარმოები. ლიტვის სახელგანთქმუ;ლი პოეტი ქალის სალომეა ნერისის საიუბილეო დღეებში მიიღო პრემია გამორჩეული გამოსვლისა და საქართველოს საუკეთესოდ წარმოჩენისთვის.

— გამაოგნა და გამაოცა პატრიარქის ჯილდომ, თუმცა ჩემს ცხოვრებაში ასეთი მოულოდნელობა ხშირად ყოფილა,-გვითხრა ქალბატონმა მზიამ, — ლიტერატურულ კონკურსებში შეგნებულად არ ვმონაწილეობ. შესაძლოა ეს ჩემი ახირებაა და ვცდები. ვფიქრობ, ამ დროს შედეგები წინასწარ განსაზღვრულია და კონკურსი მხოლოდ ფორმალურად ტარდება.

ლექსებს, რომელთაც სისხლით და ცრემლით ვქმნი, ვერ დავაყენებ კითხვის ნიშნის ქვეშ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც ბიუროკრატმა ხელი გადაუსვას ან ხელი გაუსვას რომელიმე გვარს.

პრემიები კი თავისთავად, მოულოდნელად მოდის. ჩემს ცხოვრებაში სასწაულები ხდება ამ თვალსაზრისით.



**ქალბატონმა მზიამ პატრიარქს მადლიერების ნიშნად ლექსი მიუძღვნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.**

**არ მიცხოვრია, იქნებ, ამაოდ...**
**იქნებ მეც შევძელ ცოტაოდენი...**
**ვით გაიმეტე, ერის მამაო,**
**წმინდა გიორგის ოქროს ორდენი!**
**ო, უწმინდესო! რა სიყვარულით**
**გამომარჩიე ცოდვილთა შორის!**
**წინ გადამიხსენ გზა დაფარული —**
**ასე ძვირფასი და ასე შორი!**
**წმინდა გიორგის ნათელი ადგას**
**ახლა ჩემს ცხინვალს, მონასტერს თირის**
**და არის ჭირთა ნათმენი რადგან,**
**გაბრწყინებული ცრემლებით სტირის!**

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ოთარ სეფიაშვილი — 80

# ჩვენი სიჭაბუკის „ილუზიონი“

„ილუზიონი“ ჩემი ბავშვობის შაბათი იყო, ანუ ზეიმი. მახსოვს ის მუსიკაც, რომელიც ამ გადაცემას წინ უძღვოდა და იმ ამერიკული ფილმის ნაწყვეტების კოლაჟიც, რომელიც ამჯერად ნიუ-იორკელი 80 წლის **ოთარ სეფიაშვილის** იუბილეზე ხელახლა გაგვახსენეს. გამახსენდა „მისი“ ფილმებიც... განსაკუთრებით, „ორნი ქალაქში“, რომელზეც სახლში რომ არ მეყო ტირილი, შტერ თანაკლასელ გოგონებთან ერთად ორშაბათს სკოლაში გავაგრძელე ცხარე ცრემლების ღვარღვარი. ისიც მახსოვს, რომ ძალიან მინდოდა ამ მოლაპარაკე კინომცოდნეს მალე დაესრულებინა ხოლმე საუბარი და ნამდვილი ილუზიონი — კინო დაწყებულიყო. „ილუზიონი“ მისი ავტორისგან განსხვავებით სამუდამო თინეიჯერად დარჩა — 5 წლის (ბატონი ოთარი თითქმის ამდენივე წელია საქართველოდან შორს ცხოვრობსძ. მაგრამ ბევრიც მოუსწრია. ეთერში 750-ჯერ გასულა. მაგრამ ამ 750 „ილუზიონიდან“ მაინც ყველაზე ტკბილ-მწარედ „ორნი ქალაქში“ მახსოვს... კიდევ „როკო და მისი ძმები“, კიდევ „თავგადასავლების მაძიებელნი“. ალბათ, ალენ დელონის გამო. ალბათ, კი არა, ნამდვილად.

ამდენი წლის შემდეგ ოთარ სეფიაშვილი ამერიკაში გავიცანი, დავუმეგობრდი და საჩუქრად მისი წიგნებიც მივიღე. ვიცოდი, რომ იგი კინოკრიტიკოსი იყო, ამერიკაში კი გავიგე, რომ 12 წიგნი დაუწერია: „ლეგენდა ვარსკვლავზე — ნატო ვაჩნაძე“, „ეკრანი და დრო“, „ომი ეკრანზე“, „ჯარისკაცის მამა“, „ჯიმშვანთე“, „ჩარლი — პატარა ადამიანი? არა, გმირი!“ და სხვა. ბოლო მისი წიგნი „ხსოვნა“ საქართველოში ქართველ ებრაელთა ბედს, ქართულ-ებრაული მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და მსოფლიოში ანტისემიტიზმისა და ფაშიზმის ძირების გაცნობიერებას მიეძღვნა. იგი სცენარისტი და ათი სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმის ავტორია. კინოდილოგია „ჟამი შეკრებად ქვათა“ კი კინორეჟისორ გია ჭუბაბრიასთან ერთად იმ პერიოდში გადაიღო, როცა სსრკ-ა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილი არ იყო. ფილმი პალესტინის მიწაზე ქართული სალოცავების, ნასახლარების მდგომარეობაზე მოგვითხრობდა.

ბატონი ოთარი ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ადამიანია, რომელმაც კინო შემაყვარა. და კიდევ — ალენ დელონი.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთი ოსეთის სარჩელები უგზოუკვლოდ დაკარგულად მიაჩნიათ

**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ (ევსს) სიიდან ამოიღო სამხრეთი ოსეთის მცხოვრებთა 1549 საჩივარი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მოტივირება „განმცხადებელთა სურვილის უქონლობა მიხედონ თავიანთ საჩივრებს". ექსპერტების აზრით კი, სამხრეთი ოსეთის მცხოვრებთა საჩივრები დაღუპა გულგრილობამ მათი პრობლემებისადმი რუსი და სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების მხრიდან, აგრეთვე იმ ადვოკატების პროფესიულმა უვარგისობამ, რომლებიც განიხილავენ საქართველოსთან ომის დროს დაზარალებული ხალხის საქმეს.**

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი გახდა გასული კვირის დასაწყისში. სამხრეთი ოსეთის მცხოვრებთა სარჩელები საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი იქნა 2008 წლის აგვისტოს ბოლოს – ოქტომბრის დასაწყისში, პრაქტიკულად ომის დამთავრებისთანავე სამხრეთ ოსეთში. ამ სარჩელთა რაოდენობა 3300-ზე მეტი იყო. სარჩელებისთვის შეიკრიბა ვრცელი სამართლებრივი ბაზა. 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში ჩავიდნენ რუსეთის ფედერაციის გამომძიებლები, რომლებიც ორი თვის განმავლობაში აგროვებდნენ მასალებს და ესაუბრებოდნენ რესპუბლიკის მცხოვრებლებს, აგრეთვე აწარმოებდნენ უკანასკნელი ომის შესახებ მონაცემების დოკუმენტირებას. სწორედ მაშინ რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა მიმართეს ჩრდილოეთი კავკასიის ადვოკატებს თხოვნით, მოამზადონ საჩივრები სტრასბურგში გასაგზავნად.

მაგრამ დოკუმენტები მომზადდა სიჩქარეში – ერთი თვის განმავლობაში, რამაც საბოლოო ჯამში განსაზღვრა კიდეც ევროპის სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების ნახევარზე მეტის ბედი. „ამ სარჩელების მომზადების ვადები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ საქმეები ფორმდებოდა პრინციპით „რაც მეტია, მით უკეთესი", – გვიამბობს ორგანიზაცია „სამართლებრივი ინიციატივა რუსეთში" ექსპერტი ვარვარა პახომენკო. – ჩვენ შევხვდით ამ ადვოკატებს და ვთავაზობდით ჩვენს დახმარებას, ვინაიდან ჩვენს ორგანიზაციას აქვს ევროპის სასამართლოსთან მუშაობის გამოცდილება, მაგრამ მათ პირდაპირ გვითხრეს, რომ ეს საქმეები მომგებიანია და რომ მათ უკვე დაჰპირდნენ ჰონორარსაც რამდენიმე ათასი დოლარის ოდენობით. ერთ-ერთი ადვოკატი გვთავაზობდა კიდეც გვეყიდა მისგან ეს საქმეები".

ამ დროს, რუსი სამართალდამცველების აზრით, სარჩელების მნიშვნელოვანი ნაწილი გაფორმდა არასწორად. მათში არ იყო საკმარისი დამადასტურებელი ბაზა, ხშირად კი ელემენტარული ინფორმაციაც კი არ იყო საქმის არსის შესახებ. მაგალითად, ზარის გზაზე დაღუპული 14 წლის ალბინა ხაზრატოვის დედის სარჩელში ადვოკატებმა დაივიწყეს მიეთითებინათ დაღუპულის სახელი და აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მეორე მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლების გარანტიას. მეორე საჩივარში განმცხადებლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იყო ქართული არმიის შემოჭრის გამო სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ამავე დროს იტყობინებიან, რომ თავად დაზარალებული გაემგზავრა რუსეთში ჯერ კიდევ 3 აგვისტოს.

ქალბატონი პახომენკო ყურადღებას მიაპყრობს იმას, თუ როგორ ფორმდებოდა სარჩელები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქართველოში – იქიდან სტრასბურგში შევიდა დაახლოებით 150 საჩივარი ათასი განმცხადებლისგან, რომლებიც დაზარალდნენ რუსეთის არმიისგან. ექსპერტის სიტყვებით, საჩივრებს წლინახევრის განმავლობაში ამზადებდა ხუთი სამართალდაცვის ორგანიზაცია – ისინი არა მხოლოდ აგროვებდნენ დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებს, არამედ ამ საჩივრებმა გაიარეს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა ეროვნული ინსტანცია, სანამ გაიგზავნებოდნენ ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოში. სამხრეთ ოსეთში კი საჭიროდ არ მიიჩნიეს მიემართათ ადგილობრივი სასამართლოებისთვის. ამ დროს ადგილებზე სასამართლო ინსტანციების ყველა დონეზე გავლა ევროსასამართლოში საქმეთა წარმატებული განხილვის სავალდებულო პირობაა.



მიუხედავად ამისა, პირველი შვიდი საქმე სამხრეთი ოსეთიდან ევროსასამართლოში მიღებული იქნა კომუნიცირებისთვის უკვე 2009 წლის დასაწყისში. „იმისთვის, რომ ევროსასამართლომ მიიღოს საქმეები განსახილველად, ამ საქმეებმა უნდა გაიარონ კომუნიცირება, – განმარტავს ქალბატონი პახომენკო. – ამ სტადიაში სასამართლო უგზავნის თავის წერილ-შეკითხვებს როგორც მოსარჩელეებს, ისე მოპასუხეებს. თუ ეს პროცედურა გაშლილი იქნება წარმატებულად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე განსახილველად – და ეს უკვე წარმატების 50 პროცენტია". სასამართლოს ოპერატიულობა თითქმის უპრეცედენტო მოვლენად იქცა. ჩვეულებრივად ასეთი პროცედურა საქმეებში საქართველოს წინააღმდეგ 1-დან 2-წლამდე გრძელდება, საქმეებში კი რუსეთის წინააღმდეგ – 2-დან 4 წლამდე. ოპერატიულობა მოწმობდა იმის შესახებ, რომ ევროპაში ეს საქმეები პრიორიტეტულად მიაჩნიათ.

სამართალდამცველები ფიქრობენ, რომ 7 პილოტური საქმე შეიძლება გამხდარიყო პრეცედენტი, რომლის შემდეგაც დანარჩენი სარჩელებიც სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებისა საქართველოს წინააღმდეგ განხილული იქნებოდა მჭიდრო ვადებში. „მაგრამ საქმეებში სამხრეთი ოსეთიდან კომუნიცირების სტადია ჩაიშალა: რუსეთის ადვოკატებმა არ უპასუხეს არც ერთ წერილს ევროსასამართლოდან, – ამბობს ვარვარა პახომენკო. – სწორედ ამის გამო ჯერ კიდევ გასული წლის მარტში სასამართლომ განხილვის სიიდან ამოიღო ხუთი პირველი შვიდი საქმიდან".

ეს ხუთი საქმე მიჰყავდათ რუსეთის ადვოკატებს, რომლებიც ვლადიკავკაზში ცხოვრობენ: ვლადისლავ ბაიკულოვს, ვადიმ საილაონოვს და ზინაიდა მინიაევას. თითოეულმა მათგანმა მოამზადა კიდევ რამდენიმე ასეული სარჩელი სამხრეთი ოსეთიდან. ჟურნალისტების შეკითხვაზე ევროსასამართლოდან შეკითხვების უშედეგობის მიზეზების შესახებ ადვოკატებმა უპასუხეს, რომ არ იციან ინგლისური ენა, ხოლო ევროსასამართლოდან შემოსული წერილების გადასათარგმნად მათ არ ჰყოფნიდა არც დრო და არც ფული.

შარშან 1 აპრილს ევროპის სასამართლომ გაუგზავნა მორიგი წერილი ზემოხსენებულ სამივე ადვოკატს შეკითხვით, დაიცავენ თუ არა ისინი კვლავაც 1549 მოსარჩელის ინტერესებს სამხრეთი ოსეთიდან. პასუხი არ ყოფილა. 11 ივნისს მოვიდა განმეორებითი შეკითხვა – და კვლავ პასუხი არ ყოფილა. სწორედ ადვოკატების დუმილი გახდა იმის მიზეზი, რომ 2010 წლის 14 დეკემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, ამოეღოთ განხილვის სიიდან 1549 საქმე საქართველოს წინააღმდეგ სამხრეთი ოსეთიდან. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ნათქვამია: „სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღწერილ პირობებში, განმცხადებლები შეიძლება განხილული იქნენ როგორც სურვილის არმქონენი მიხედონ თავიანთ საჩივრებს კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად".

ამ დროს თავად განმცხადებლებს თავიანთი „სურვილის უქონლობის შესახებ" მიხედონ საჩივრებს, როგორც ეტყობა, ეჭვიც კი არ აქვთ. „ჯერ კიდევ შარშან, როდესაც ვესაუბრებოდი განმცხადებლებს, მათ ისიც კი არ იცოდნენ, წავიდა თუ არა მათი საქმეები ევროსასამართლოში, – გვაცნობა ქალბატონმა პახომენკომ. – ისინი, უბრალოდ, საქმის კურსშიც კი არ ჩაუყენებიათ. ადვოკატებს ბევრ მათგანთან ურთიერთობაც არ ჰქონიათ". ექსპერტის აზრით, ევროსასამართლოში სამხრეთ ოსეთის ჩავარდნის მიზეზად, გარდა პროფესიული უვარგისობისა, გახდა რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთი ოსეთის ხელისუფალთა გულგრილობა ამ პრობლემისადმი. „მათ მიაჩნდათ, რომ რახან ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში იმარჯვებენ ჩეჩენთა საქმეები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ასევე მოიგებენ სამხრეთოსეთელებიც საქართველოს წინააღმდეგ, – განმარტა ექსპერტმა. – მათ ვერ გაითვალისწინეს ერთი ფაქტი: ჩეჩნეთის ყველა მოგებული სარჩელი იყო იურიდიულად გამართლებული, კარგი დამადასტურებელი ბაზით".

ადვოკატები ტელეფონის ზარზე არ პასუხობდნენ. ასევე მიუღწეველი იყო ჟურნალისტებისთვის რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი მატიუშკინი, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილებაში კი გვაცნობეს: „კომენტარების ასე უბრალოდ მიღება სრულუფლებიანი წარმომადგენლისგან არ შეიძლება, უნდა გამოიგზავნოს შეკითხვა, რის განხილვისთვისაც საჭირო იქნება ორი-სამი დღე".

Коммерсантъ

# საქართველოში სამხედრო ბაზაზე აფეთქების სავარაუდო დამნაშავეები დააკავეს

**საქართველოს სამხედრო პოლიციამ დააკავა სამი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც პასუხს აგებენ კრწანისის სამხედრო ბაზაზე უშიშროების წესების დაცვისთვის. აქ სამშაბათს მოხდა ტრაგედია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის" სააგენტოს აცნობებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.**

გამოძიების მონაცემებით, აფეთქება კრწანისის სასწავლო ცენტრში გამოიწვია უშიშროების წესების დარღვევამ, ამ ეტაპზე კი საკითხი შეეხება სამი პირის პასუხისმგებლობას, რომლებსაც ევალებოდათ კონტროლი გაეწიათ ამ მიმართულებისთვის. ესენი არიან პოლკოვნიკი ტრისტან ტყეშელიაძე, პოლკოვნიკი მამუკა ფარესიშვილი და უფროსი ლეიტენანტი მალხაზ ქობალია.



გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, საქმის დეტალებს არ აზუსტებენ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს დამნაშავე პირთა თავისუფლების აღკვეთას 6-დან 10 წლამდე ვადით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ სამძიმარი გამოუცხადეს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. „სამი სამხედრო დაიღუპა, 13 დაიჭრა. დაჭრილები სამედიცინო დაწესებულებებში იმყოფებიან ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ. ყველაფერი კეთდება მათთვის დახმარების აღმოსაჩენად", – თქვა მინისტრმა.

მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს დაღუპული სამხედროების ოჯახების სოციალურ დაცვას. „ასეთი სწავლება შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობს პრაქტიკულად ყოველდღე, მაგრამ დღევანდელი ინციდენტი ტრაგიკული იყო, და სამხედრო პოლიციამ დაიწყო მისი გამოძიება. ჯერჯერობით ბევრი რამ დადგენილი არ არის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თუ ვინმეს პასუხისმგებლობა გამოვლინდება, შემიძლია გითხრათ, რომ კონკრეტული სამხედრო მოსამსახურეები დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით", – აღნიშნა ახალაიამ.

ამავე დროს მან თქვა, რომ მანევრებს, ხდება ხოლმე, თან ახლავს სხვადასხვა ინციდენტი, მაგრამ „ისინი არ უნდა დამთავრდეს ასეთი უბედური შემთხვევებით".

უფრო ადრე სააკაშვილმა დაავალა ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებს სასწრაფოდ გამოიძიონ კრწანისის სამხედრო ბაზაზე მომხდარი აფეთქების ინციდენტი. საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სპიკერის მანანა მანჯგალაძის სიტყვებით, სააკაშვილი დაინტერესებულია, რომ აფეთქების მიზეზები და ამ საქმის ყველა დეტალი დაზუსტებული იქნეს მაქსიმალურად მოკლე დროში.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**კალიფორნიაში გამოსცადეს უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია ჰაერში იმყოფებოდეს საწვავის მიუღებლად მთელი კვირა**

„გლობალ ობსერვერი" აღჭურვილია წყალბადის ძრავით და კონსტრუირებულია ისე, რომ მიუწვდომელი იყოს ცეცხლისთვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბევრი საშუალებებისგან და არ მოხდეს სამხედრო რადარების მოქმედების ზონაში. პროექტის ღირებულება შეფასებულია 30 მილიონ დოლარად.

**„სახმელეთო ცუნამი" ავსტრალიაში: წყლით დაიფარა ათასობით სახლი, დაიკარგა 90 კაცი**



სტიქიური უბედურებისგან დაზარალდნენ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ცხოვრობს. „ბიბლიური მასშტაბის" წყლის ნაკადებს მიაქვთ სახლები. ათასობით მცხოვრები ევაკუირებულია. ზოოპარკში ნიანგები დაბმულები ჰყავთ, რათა ისინი არ გაიპარონ წყალდიდობის დროს.

**აშშ-ს ჩრდილო აღმოსავლეთს თოვლის ქარიშხალი უახლოვდება: გაუქმებულია ათასობით ავიარეისი, დაიხურა სკოლები**

სინოპტიკოსების მონაცემებით, უამინდობა, რასაც თან ახლავს ძლიერი ქარი, თოვლი და ყინვები, უკვე უახლოეს საათებში დაფარავს პენსილვანიას, ნიუჯერსის, ნიუიორკს, მასაჩუსეტსა და დიდი ტბების რაიონს.



**ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოუწოდებენ თავიანთ პრემიერს გადადოს ვიზიტი რუსეთში, შეახსენოს მოსკოვს ძველი და ახალი ცოდვები**

ლონდონში შეშფოთებული არიან ოპოზიციონერების მოსკოვში ამასწინანდელი დაკავების, აგრეთვე ხოდორკოვსკის მიმართ გამოტანილი განაჩენის გამო. ამას გარდა ქვეყნებმა გაცვალეს ამ ცოტა ხნის წინათ დიპლომატების გასახლება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბრალს სდებენ რუსეთის პრემიერს, რომ იგი რუსეთის ფედერაციას აქცევს „პოლიციურ სახელმწიფოდ". დიდმა ბრიტანეთმა, მიაჩნიათ მათ, არ უნდა დათმოს თავისი პრინციპები ეკონომიკური სარგებლების გულისთვის.



**ხვალ ძველით ახალი წელია, გილოცავთ!**

# გამოკეტილი სახლ-კარის სევდა

შუადღეა. იანვრისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდი დგას. ასე, 65-70 წლის კაცი რკინის ჭიშკარს აღებს და ფართო ეზოში შედის, სოფელში სიმყუდროვეა, სულ არ იგრძნობა, რომ ამაღამ ძველით ახალი წელი უნდა გათენდეს... თუმცა საკვამურეებიდან კვამლი ამოდის, ესე იგი სიცოცხლე ფეთქავს მეზობლებში. ამ კაცის ოდა-სახლიდან კი ჩამიჩუმი არ ისმის, ბუხარიც გაცივებულია...

კაცი სახლის წინ, ქვის მაგიდასთან, ძელსკამზე ჯდება. იყო დრო ამ მაგიდას ვეება კაკლის ხე ფარავდა და მის ჩრდილქვეშ დასვენებას არაფერი სჯობდა.



კაცს ახსოვს, ამ სამოციოდე წლის წინათ, როგორ რგავდა მისი დედმამა ამ კაკლის ხეს, როგორ წამოიზარდა იგი, და, მერე და მერე, როგორ ებრძოდნენ მისი ტოტები ამ კუთხისთვის ჩვეულ ზენა ქარს. მის ჩრდილქვეშ იმერული პურ-მარილით გაწყობილი მაგიდებიც ახსოვს კაცს, დოლ-გარმონისა და არღნის ხმაც, თითქოს, ყურში ჩაესმის. უკვე გვიან, ჯერ დედის, მერე კი მამის ცხედარს გამოეთხოვა ამ კაკლის ძირში, დამწუხრებული, გაოგნებული იდგა იგი ნათესავ-ახლობლ-მეგობრებ-მეზობლებში...

მამის სიკვდილის შემდეგ, ერთ-ორ წელიწადში, კაკლის ხეს ფოთლები ერთიანად ჩამოაჭკნა, სასწრაფოდ გადაბელეს, იქნებ, გადაერჩინათ გახმობას, მაგრამ ვერ უშველეს... მეზობლები ამბობდნენ, ნინამ და ვენემ თავიანთი დარგული ხე თან წაიღესო, ეს გასაკვირი არ არისო...

მარტოდ დარჩენილ კარ-მიდამოს თორმეტ წელიწადს დევნილები აცოცხლებდნენ, სოხუმელი ვახტანგ ლომიძის ორი ციცქნა ბიჭი ამ ეზოში გაიზარდა. უმცროსი სამი თვის იყო, ჭუბერზე რომ გადმოვდიოდით, კინაღამ გაგვეყინა გზაშიო, ყვებოდა ვახტანგი, ცოლ-შვილს რომ აცნობდა და აქაურობას იზარებდა... სხვა რა გზა ჰქონდა კაცს?.. მამის დანატოვარის მიმხედავი აღარავინ იყო, რამდენჯერმე უპატრონო სახლიდან რაღაც-რაღაცებიც მოიპარეს... ჰოდა, როდესაც დევნილების ჩასახლება ურჩიეს, ჭკუაში დაუჯდა — აღარ იქნებოდა სახლ-კარი გამოკეტილი და მადლსაც იზამდა... ჰოდა, ეს სოხუმელები გააცნეს...

ცხოვრობდნენ, შრომობდნენ მაღლაკის ქვიან მიწაზე ლომიძეები, ბიჭები სკოლაში სწავლობდნენ, როგორც უახლოეს ადამიანს, ისე ხვდებოდნენ ხოლმე თბილისიდან დრო და დრო ჩასულს. კაცსაც უკვე გული საგულეს მქონდა — მამა-პაპეული ცოცხლობდა...

შარშან ვახტანგ ლომიძე მოულოდნელად გარდაიცვალა, ცოლშვილი თბილისში გადავიდა, ანუ აქაურობა კვლავ უპატრონოდ დარჩა...

ძველით ახალი წლის წინა დღეს უსაშველოდ მოუნდა სოფელში ჩასვლა. აღარც დაუყოვნებია, გონებაში ვახტანგ ჯავახაძის ლექსის სტრიქონები ურიალებდა:

**„გადაწყდა — დღესვე**
**მოვემგზავრები,**
**ხვალ ჩამოვალ და**
**ჩაგეკონები,**
**ხმას იმაღლებენ ჩემი ზარები,**
**რეკავენ ჩემი სამრეკლოები.**
**ზარებს ჰკიდია ასი მეზარე,**
**მიმაცილებენ გზები ფართონი**
**და მეც ხმამაღლა ვამბობ**
**მესამეს,**
**ჩემი ხმისა და სმენის**
**პატრონი“.**

...გზები (ქუთაისისკენ მიმავალი ავტობანი) იცოცხლეთ, აგვიშენა საააკაშვილმა და „მერსედესის“ მარკის ავტობუსით უკვე სამ საათში იყო კაცი „საქართველოს მეორე დედაქალაქში“, იქიდან — ხელის გაწვდენაზე — მშობლიურ მაღლაკში...

ერთ დროს სიცოცხლე ძალუმად ფეთქავდა ამ ეზო-კარში, ამ ოდასახლში, განსაკუთრებით შობის დღესასწაული და ძველით ახალი წელი უხაროდა დიდ-პატარას, იკვლებოდა ღორი, დედა საკუპატე ხორცსა და შიგნეულს ამზადებდა, დიდ გობზე კმაზავდა, ღორის დაკვლა-გასუფთავება-დაჭრით დაღლილ მამაკაცებს სუფრას უწყობდა და ისინიც ხორხოცითა და ხუმრობა-ხუმრობით სადილობდნენ, „მალენკოვის“ თლილი ჭიქებით სვამდნენ და მამას ღვინოს უქებდნენ. ძველით ახალი წლის ალიონზე დედა აღვიძებდა, „მეფეხურო“, მობრძანდიო, ისიც მკვირცხლად წამოხტებოდა, ფაცხაფუცხით იცვამდა, რამდენიმე წუთში უკვე „ქუხნის“ კარებთან იდგა და აკაკუნებდა. „ვინ ბრძანდებით?“ — ესმოდა შიგნიდან დედის ხმა. ბიჭმა უკვე ზეპირად იცოდა: „ახალი წელი ვარ!“

„მობრძანდი, მობრძანდი ახალო წელო!“ — და დედა „ქუხნის“ კარს ფართოდ უღებდა, თან ბიჭს სიმინდის ან ხორბლის მარცვლით სავსე ჯამს აწვდიდა: „რა მოგაქვს ახალო წელო?!“ „მშვიდობა, ბედნიერება, ჯანმრთელობა, ამდენი ოქრო, ამდენი ვერცხლი — და ბიჭიც აქეთ-იქით მუჭით აპნევდა იატაკზე მარცვალს. „ახლა აქეთ დაბრძანდი ახალო წელო!“ — ეუბნებოდა დედა, თან ჯორკოზე მარცვლებს ყრიდა... „მარცვლებს დააჯექი, წიწილების გამოსატეხად კვერცხებზე მჯდარი კრუხი არ ავარდეს საბუდრიდან“. და ბიჭიც უკვე უყოყმანოდ ასრულებდა ამ რიტუალს. დედა ქვის კეცში გამომცხვარ კვერცხისგულგადასმულ ვეება ხაჭაპურს ჭრიდა, წელში გამოყვანილ ჭიქას ავსებდა ღვინით და საფიცარ ვაჟიშვილს ოჯახს ერთხელაც ალოცვინებდა. „ახლა შურა ბიცოლასთან გადადი შვილო, გელოდებიან“, — ეტყოდა დედა და კარებში გააცილებდა...

რაღა დარჩა?..იმ დღეთა მოგონება... ყველაფერი წავიდა და გაფრინდა...

კაცს ფიქრებიდან გვერდით მცხოვრები ბიძაშვილის აჩიკოს ხმა არკვევს.

— „ვა, როდის ჩამოხვედი, თბილისელო?!“

„სალამი, აჩი!.. ერთი ათი წუთია... რა ხდება, ოჯახში როგორ ხართ?..“

„დაბალ გაზზე ვარ ჩართული... არავინ წამოიყვანე კაცო?!“

„ვის ცალია... ძველით ახალ წელს ხომ სამუშაო დღეა... სამსახურის გაცდენას ახლა აღარავის პატიობენ... მე, როგორც ყველაზე თავისუფალმა კაცმა, გამოვწიე შენ სანახავად“.

„აგაშენა ღმერთმა, აბა, შევუბეროთ, ღვინო სამყოფი მაქვს“.

„შვლაპია?“

„ნაღდია, ძმაო, აი ნახავ!“

„მოდი, ჯერ ჩემ გამოყრუებულ სახლში შევიდეთ, ვნახოთ, რა ხდება“...

„კარგადაა ყველაფერი, კრამიტი არაა გატეხილი, წყალი არ ჩამოდის, კარებს ვაღებთ ხშირად, ვანიავებთ“.

„აბა, თქვენ იცით, ტყვილა კი არ გეძახი „მოურავს“, მიდი ერთი, ცოტა ხმელი ფიჩხი და რამდენიმე ნაჭერი შეშა მოიტანე“.

კაცი „ქუხნის“ კარს აღებს, ნესტის სუნი იგრძნობა, ბუხართან მიდის, ცოცხით გვის, აჩიკოს ამასობაში ფიჩხი შემოაქვს და მალე ცეცხლი გუზგუზებს ბუხარში...

„იჯექი შენ აქ, მე ახლავე მოვალ“ — ეუბნება აჩიკო და მალე ცოლით ბრუნდება. ლანას თან თეფშები მოაქვს, სუფრას აწყობს, აჩიკოს ღვინით სავსე ჭურჭელი უჭირავს... რამდენიმე მეზობელიც შემოდის — თვალებში ღიმჩამდგარი კაცები, არის მიკითხვ-მოკითხვა, ძველის გახსენება, დღევანდელობაზე დარდი და წუხილი, მაგრამ მაინც იმედიანი, ხალისიანი იმერული განწყობა. ადღეგრძელებენ ბავშვობის ძმაკაცს, გაგიმარჯოსო, ყურები ნუ ჩამოგიყრიაო, რას იზამ, ძმაო, მარტო შენ კი არა ხარ ამ დღეში, საუბედუროდ, გამოკეტილი სახლ-კარი უამრავია ამ სოფელშიო.

ეეეე... რა დიდი სანუგეშო ეგ არიო, ჩაილაპარაკებს კაცი, მერე აჩიკოს გადახედავს და სიმღერაში იყოლიებს: „ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში, ლხინსა და ქორწინებასა“. სახლიკაცები გვიანობამდე ესიყვარულებიან ერთმანეთს. მერე ნელ-ნელა ყველა თავის სახლში მიდის, ცხადია იქ უნდა შეხვდნენ ახალ წელს.

კაცი ღიღინ-ღიღინით ადის იმ ოთახში, სადაც მთელი ბავშვობა და სიყმაწვილე გაუტარებია. წვება, კარგა ხანს ჭერს შეჰყურებს. ხვალ ძველით ახალი წელია, რა თქმა უნდა, კიდევ მოუწევს ამ „გიჟებთან“ ჭიქის მიჭახუნება. მერე ბებია-ბაბუისა და დედ-მამის საფლავებს მიაკითხავს, ჩააბარებს აჩიკოს სახლკარის გასაღებს, ერთს სევდიანად გახედავს გამოკეტილ სახლ-კარს და გაუყვება გზას აქოთქოთებული ქალაქისკენ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

**პარადოქსები ქართულად**

## სისხლი რისა წილ?

**ავიტეხეთ თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადასვლა-გადაყვანა და ჰე, ახლა! რა გინდა, რო ქნა! თურმე უკვე შენობასაც ვუშენებთ, რასაკვირველია, საუკეთესოს, თუ ევროპაში არა, თუ პოსტსაბჭოურ სივრცეში არა — ამიერკავკასიაში ნამდვილად!..**

არადა, რამდენიმე წელიწადში რომ ეგ პარლამენტი უკან, თბილისში დასაბრუნებელი გახდეს, ვთქვათ, ახალი ხელისუფლების ხელში, რას შვები, მაშინ! უამისოდაც ხომ ეკონომიურად ვხარჯავთ სახსრებს...

ახლა პარადოქსზეც გადავიდეთ — ყოველ შემთხვევაში, მე რომ პარადოქსი მგონია, იმაზე: 11 იანვარს ტელეეკრანიდან გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით ქუთაისელ 35 წლის ფეხმძიმე ქალს, ღვთის შეწევნით, არ დადასტურებია რომელიღაც საშინელი ვირუსით (მგონი „ეიჩით“-ძ დაავადება, თუმცა მაინც მძიმე მდგომარეობაში რჩება თურმე. იმისი სისხლი, საბოლოო დასკვნისთვის, ანუ გამოსაკვლევად, თბილისში გადმოუგზავნიათ.

ამის ყოფა ვატირე, ამხელა პარლამენტის გადატანა შეიძლება ქუთაისში და სისხლის საანალიზო ლაბორატორიის მსგავსი რამის გადასროლა ვერ მოგვიხერხებია? დარჩენილი საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქს სისხლის გამოსაკვლევი ლაბორატორია არ უნდა ჰქონდეს და პარლამენტი უნდა ჰყავდეს? პარლამენტი იქით მიგვყავს და საანალიზოდ აქეთ მოგვაქვს- რა, არ არის ეს პარადოქსული სიტუაცია? ვიკითხე მე აქ...

— ღმერთო, მშვიდობით მოამშობიარე ის ახალგაზრდა ქალი და გაფურჩქნე ორი სიცოცხლე...

**ბერდია ბედოიძე**

**ჭირი იქა, ლხინი სადა?..**

## გულცივი ცხელი ხაზი

**„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, 12 დღეა გასული იმ დღიდან, რაც ქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დავრეკე — 72.22.22. სხვათა შორის, ნორმალურად დაირეკა, თავაზიანმა ქალბატონმა ჩაიწერა ჩემი „დილმისმასივური“ შეტყობინება — რომ V კვარტალის VI კორპუსთან, ტროტუარზეცა და ტრანსპორტის სავალ გზაზეც თითო წყლის ჭაა დაზიანებული (ალბათ, სასმელი წყლისა) და წყალი წყლად იღვრება და კაი გვარიანი გუბეებიც დგას.**

იმ თავაზიანმა ქალბატონმა შემტყობინებლის სახელ-გვარი ჩაიწერა სრული მისამართიანა — მშობლიურ კვარტალსა და კორპუსს სადარბაზო, სართული და ბინის ნომერი დავუმატე, ტელეფონისაც.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და წყალი კი... ისევ დგას, ტროტუარზეც და მთავარ გზაზეც. ეგ რანაირი „ცხელობაა“, თუ ამდენი ხანი ავარიულ ადგილს არ მოაკითხავენ? სასმელი წყალი ხომ იღვრება და ავტობუსის გაჩერებაზე მისვლასაც უკვე „შემოვლითი ბილიკები“ სჭირდება.

რაკი მშობლიურ მასივზე ავლაპარაკდი, ბარემ ერთი-ორ სატკივარზეც დავიჩივლებ: ცუდად დადიან „აქაური“ ავტობუსები №46 და №24 მარშრუტებისა — პირველი 15-20-წუთიანი ინტერვალებით, მეორე — 20-25-იანით. არადა, ქალაქის ცენტრში, ვთქვათ, რუსთაველის მოედანზე რომ დგახარ ტრანსპორტის გაჩერებაზე, თვალს უხარია, რა კარგად დადიან №61, 140, 150 მარშრუტების ავტობუსები. გამოველაპარაკე „ჩემი“ (№46 და №24-ძ ავტობუსების მძღოლებს და „ამიხსნეს“ — სასწავლო წელი რომ განახლდება და მგზავრთა ნაკადები გაიზრდება, დაგვემატებიან ავტობუსები და გამოსწორდება საქმეო. ვნახოთ, ალდგომა და ხვალეო...

და კიდევ — ზოგიერთ ავტობუსს რომ გვერდს მთლიანად უფარავს რეკლამა და ნომერი არ უკეთია — სამარშრუტო ნომერი — რატომაა ასე? სამგზავრო ავტობუსის „რეკლამა“ ხომ პირველ რიგში იმისი ნომერია, ავტოპარკში ვერ ამჩნევენ? და კიდევ: სამგზის წყეულ კომუნისტურ ხანაში დილმის მასივში თეთრეულის სამრეცხაოც გვქონდა და ქიმწმენდაც, ახლა — ფაფუ! სამრეცხაომ მაინც რა დააშავა. სადმე, თბილისში შემორჩა ნეტავი?..

**თამაზ ებანოიძე**

**ინფორმაცია**

## აჭარაში პროდუქტის ფასმა მოიმატა, მოსავლიანობამ იკლო

**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წლის მესამე კვარტალში რეგიონის სამომხმარებლო ბაზრებსა და სასურსათო ობიექტებში კვების სხვადასხვა პროდუქტებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა.**

**კერძოდ, პურზე -11,3 პროცენტი, ხორბლის ფქვილზე-31 პროცენტი, მცენარეულ ზეთზე - 46 პროცენტი, მარგარინზე - 42 პროცენტი, კვერცხზე - 20 პროცენტი, წიწიბურაზე-33 პროცენტი, ნიორზე-100 პროცენტი. აღნიშნულ პროდუქტებზე ფასების ზრდა გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის დეფიციტით.**

**2010 წლის განმავლობაში შედარებით სტაბილური იყო ბოსტნეულის, ხორცისა და ხორცპროდუქტების, საკონდიტრო ნაწარმისა და ხილის ფასები.**

**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გვალვიანმა ზაფხულმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე უარყოფითად იმოქმედა.**

**პროგნოზით გათვალისწინებული 13 820 ტონა მარცვლეული კულტურებიდან (მათ შორის სიმინდი 13 400 ტონა და ლობიო 380 ტონა) 2010 წლის 1-ელი დეკემბრის მონაცემებით წარმოებულია 10 426 ტონა სიმინდი, 381 ტონა ლობიო; პროგნოზით გათვალისწინებული 10 185 ტონა ბოსტნეულიდან წარმოებულია 9458 ტონა, მათ შორის: პომიდორი 4 132 ტონა, კიტრი 3166 და სხვა დანარჩენი 2160 ტონა.**

**პროგნოზით გათვალისწინებული 48 000 ტონა კარტოფილის მოსავლიდან, 2010 წლის განმავლობაში წარმოებულია 49 700 ტონა კარტოფილი, ანუ პროგნოზის 103.3 პროცენტი..**

**2010 წლის განმავლობაში პროგნოზით გათვალისწინებული 272 ტონა თამბაქოს ხმელი ფოთლის მოსავლიდან წარმოებულია 214 ტონა, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის პროგნოზის 78,7 პროცენტი.**

ჯი-ეიჩ-ენი

ექო

# ქართველთა აზრით



**უკვე გაუწყეთ, რომ ფიფასა და „ფრანს ფუტბოლის“ პირველი ერთობლივი რეფერენდუმის გამარჯვებული არგენტინელი ლიონელ მესი გახდა. „ბარსელონას“ ლიდერი ზედიზედ მეორედ გახდა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი.**

ტრადიციულ გამოკითხვაში, როგორც მისი დებულებითაა გათვალისწინებული, თითოეული ქვეყნიდან ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, კაპიტანი და წამყვანი სპორტული გაზეთის ჟურნალისტი მონაწილეობდა.

ქართველთაგან ლაურეატი მხოლოდ გუნდის კაპიტანმა კახი კალაძემ გამოიცნო. „ჯვაროსანთა“ თავკაცმა თემურ ქეცბაიამ უპირატესობა ხავის მიანიჭა, ხოლო უკვე აღარარსებული პოპულარული გამოცემის „სარბიელის“ დამფუძნებლის ზურაბ ფოცხვერიას რჩეული დავიდ ვილია გახდა.

რაც შეეხება უძლიერესთა სამეულს: მესი, ინიესტა, ხავი — მისი სრული ვარიანტი მხოლოდ ერთმა — ალჟირელმა კალმოსანმა გამოიცნო.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ოსმალური რეპეტიცია



**სეზონის განახლებამდე სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერი „სოხუმი“ საწვრთნელ შეკრებაზე თურქეთში იმყოფება და იქ საკონტროლო შეხვედრებს მართავს.**

პირველი მატჩი დევნილთა კლუბმა „ანთალიას“ მესამე შემადგენლობას უპრობლემოდ მოუგო — 103:74, ხოლო მეორე დღეს იქაური მეორე დივიზიონის მეორეადგილოსანი „ქეფეზი“ მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა — 92:86.

ზღვისპირელთაგან ყველაზე შედეგიანად, ტრადიციისამებრ, ლაშა ფარღალავამ ითამაშა — 35 ქულა, ხოლო ამერიკელმა ლეგიონერმა იუჯინ ჰარისმა პარტნიორებს 18 ქულა შეაწია.

რეიტინგი

# ჩვენ მეორმოცე ადგილზე ვართ!

**ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) გამოაქვეყნა 2010 წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო ეროვნული ჩემპიონატების რეიტინგი.**

ის შეადგინეს ყოველი ჩემპიონატის პირველი ხუთი გუნდის მიერ ოფიციალურ შეჯიბრებებში დაგროვილი ქულების შეჯამებითა და ლიგის კოეფიციენტზე გამრავლებით.

**აი, როგორ გამოიყურება ამ რეიტინგის პირველი ათეული: ესპანეთი** — 1092, **ინგლისი** — 1039, **იტალია** — 1021, **ბრაზილია** — 982, **გერმანია** — 932, **საფრანგეთი** — 884, **არგენტინა** — 861, **პორტუგალია** — 789,5, **ჰოლანდია** — 787,5, **უკრაინა** — 709, რუსეთი გაანაწყენა იმან, რომ ის 660 ქულით მეთოთხმეტე ადგილზეა, ხოლო მას 662,5 ქულით მეცამეტე ადგილზე უსწრებს ეკვადორი.

საქართველო 375,5 ქულით მე-40 ადგილზეა, ჩვენ წინაა სერბეთი — 382,5 ქულით, ხოლო მომდევნო 41-ე ადგილზე ტუნისია — 375,5 ქულით.



შეგახსენებთ, რომ IFFHS 1991 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს ასეთ რეიტინგს სხვადასხვა ქვეყნების კლუბების მიერ საშინაო და საერთაშორისო არენაზე მოპოვებული შედეგების მიხედვით.

კრიმინალი

# დიდი იტალიური ძარცვა

**დიდი იტალიური ძარცვა მოხდა საშობაო-საახალწლო დღეებში მილანში, სადაც ერთდროულად სერია „ა“-ს სამი ვარსკვლავი უმოწყალოდ გაძარცვეს — „ჯენოას“ მცველს კახა კალაძეს, „ინტერის“ თავდამსხმელსა და ნახევარმცველს სამუელ ეტოოსა და უესლი სნაიდერს ბინები გაუტეხეს და ძვირფასი ნივთები მოპარეს. ამის შესახებ ინფორმაციას გუშინდელი „კორიერე დელა სერა“ ავრცელებს.**

პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო და ამ სამი დანაშაულის ერთიან კვალს ეძებს, რადგანაც მსგავსება ამ სამივე შემთხვევას შორის აშკარაა. ბოროტმოქმედებმა ზუსტად ის პერიოდი შეარჩიეს 21-27 დეკემბერი, როდესაც მთელი ევროპა სადღესასწაულო მორევში იყო ჩაფლული და მათ შორის ცნობილი ფეხბურთელებიც ისვენებდნენ. მძარცველებმა კარგად იცოდნენ თავიანთი მსხვერპლთა გადაადგილების გრაფიკი, მათი საშობაო გეგმების შესახებ და კარგად ჰქონდათ შესწავლილი სახლების დაცვის სისტემა. ისინი მოქმედებდნენ მეტად თამამად, აგრესიულად, შესაძლოა ითქვას, ზედმეტი სიფრთხილის გარეშეც კი და თანაც არსად არ ჩქარობდნენ.



კლასიკური ჰოლივუდური სიუჟეტი გათამაშდა კამერუნელი ვარსკვლავის სამუელ ეტოოს ფეშენებელურ ბინაში მილანის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რაიონში. სახლის სათვალთვალო გარეკამერამ დააფიქსირა ორი ადამიანი, რომლებიც მიუახლოვდნენ კარებს, ჩაამტვრიეს საკეტი და შევიდნენ ბინაში. მთავარი ინტრიგა კი ისაა, რომ სამზარეულოში ამ დროს თავისი საქმით იყო დაკავებული ეტოოს მზარეული, რომელმაც ვერაფერი ვერ გაიგო, ისე გაიტანეს ყველაფერი ოთახებიდან. მძარცველებმა ერთი გზა გააკეთეს და კიდევ შემობრუნდნენ უკან დარჩენილი ნივთების წასაღებად, წყნარად, აუჩქარებლად. მზარეულმა პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ არაფერი გაუგია იმ პერიოდში და არც არავინ შეუნიშნავს სახლში უცხო — პოლიცია კი თავის მხრივ ეჭვობს, რომ მზარეული იმ დროს ძლიერი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო.

სამივე შემთხვევაში წაღებულია ძვირფასი ნივთები: საათები, სამკაულები, სათვალეები, კომპიუტერული ტექნიკა და ნებისმიერი ნივთი, რაც ძვირფასი თვლებით იყო ნაკეთი. მძარცველებმა კონკრეტულად იცოდნენ, თუ რის წასაღებად შედიოდნენ ბინაში და ხელი სხვა ზედმეტი საგნებისათვის არ დაუკარებიათ. უცნაურია ისიც, რომ მათ საკმაოდ ადვილად შესძლეს სამივე შემთხვევაში გაძლიერებულად დაცული კარების გატეხვა — სავარაუდოდ მათ წინასწარ იცოდნენ თუ რა ტიპის საკეტებთან ექნებოდათ საქმე.

Presa.ge

კრივი

# გულშემატკივართა გასახარად




**დიახ, კრივის მოყვარულებს ნამდვილად გაახარებს, რომ მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში WBC ვერსიით, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო 19 მარტს კელნში თავის ტიტულს დაიცავს ათენის ოლიმპიურ ჩემპიონთან კუბელ ოდლანერ სოლისთან.**

91-კილოგრამიანმა „სავალდებულო მეტოქემ“ ამ ორთაბრძოლისთვის შეიძლება მიიღოს 1,4 მილიონ ევრომდე.

მუნდიალი

# მსოფლიო ჩემპიონატი — ინდოეთში?

**2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, შესაძლოა, გაიმართოს ინდოეთში — ასე მიაჩნია ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს.**

ალბათ იცით, რომ სრულიად მოულოდნელი იყო 2022 წლის მუნდიალის ყატარში გამართვის გადაწყვეტილება. ბლატერს კი სჯერა, რომ ესაა ნაბიჯი ახალი პერსპექტიული საფეხბურთო ბაზრისკენ — ინდოეთისკენ.




მოსახლოების რაოდენობის — 1,2 მილიარდი, სტაბილური ეკონომიკისა და ფეხბურთისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად, ინდოეთის ნაკრები ვერ დაიკვეხნის ამ მხრივ მიღწეულ წარმატებებზე — მსოფლიო რეიტინგში ის 142-ე ადგილზეა. ბლატერის აზრით, ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას იქ მსოფლიო ჩემპონატის ჩატარებით.

2026 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენდენტთა შორისაა ავსტრალია, რომელმაც ვერ მოიგო 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა.

„თუ გვინდა ახალი ტერიტორიების ათვისება, სადაც ფეხბურთი დაგვეხმარება ცხოვრების დონის ამაღლებაში, მაშინ ინდოეთში მოვიპოვებთ ორმაგ ბაზარს, არა მხოლოდ საფეხბურთოს, არამედ ეკონომიკურსაც“, — თქვა ბლატერმა.

**კახი გურული**

ინტერნეტიდან

# „ოსკარის“ კანდიდატები



**როგორც აბუ-დაბიდან იტყობინებიან, გამოცხადდა პრესტიჟული პრემიის Laureus, რომელსაც ხშირად სპორტულ „ოსკარსაც“ უწოდებენ, პრეტენდენტთა გვარები.**

**მამაკაცთა შორის ამ პრემიის კანდიდატები არიან: რაფაელ ნადალი** (ესპანეთი, ჩოგბურთი), **სებასტიან ფეტელი** (გერმანია, „ფორმულა-1“), **მენი პაკიაო** (ფილიპინები, კრივი), **კობი ბრაიანტი** (აშშ, კალათბურთი), **ლიონელ მესი** (არგენტინა, ფეხბურთი), **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, ფეხბურთი).

**ქალთა შორის „ოსკარის“ კანდიდატები არიან: სერენა უილიამსი** (აშშ, ჩოგბურთი), **კიმ კლიისტერსი** (ბელგია, ჩოგბურთი), **კაროლინა ვოზნიაცკი** (დანია, ჩოგბურთი), **ლინდსი ვონი** (აშშ, სამთო თხილამურები), **ჯესიკა ენისი** (დიდი ბრიტანეთი, მძლეოსნობა), **ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატეთი, მძლეოსნობა).

სპორტული „ოსკარი“ ენიჭება 2000 წლიდან. შარშან ეს საპატიო წოდება მოიპოვეს იამაიკელმა სპრინტერმა უსეინ ბოლტმა და ამერიკელმა ჩოგბურთელმა სერენა უილიმსმა.

# საახალწლოდ ბიანკა გახდა

**სკანდალური ქრონიკის მუდმივმა გმირმა ქალმა, ცნობილმა რუმინულმა მოდელმა ბიანკა დრაგუშანუმ „აღმოაჩინა“ იდეალური ფიგურის შენარჩუნების ახალი საშუალება — ესაა სიყვარული და დარდი საყვარელ მამაკაცზე.**



უხვსუფრიან საახალწლო და საშობაო დღესასწაულებზე ბევრს ეშინია სასწორზე შედგომისა — წონაში ხომ არ მოვიმატეო. ამ დროს ხომ აქტიურად ვერ მოქმედებ, ხშირად სუფრას უზიხარ, შემდეგ კი ამაოდ ცდილობ თავის წესრიგში მოყვანას.

ეს გარემოება სულაც არ აშინებს ბიანკას. ის ხომ ამ დღეებში საგრძნობლად გახდა. „მე სიყვარულით ვიტანჯები, ჩემი კაცი ხომ ძალზე შორსაა!“ მისი საქმრო ფეხბურთელი ადრიანო კრისტი ხომ კლუჟშია, ლამაზმანი კი ბუქარესტში ცხოვრობს და მუშაობს. ამიტომ ისინი ხშირად ვერ ხვდებიან.

**წერილი რედაქციას**

# სინამდვილე კი ასეთია...

10 იანვარს „რეალტივის" არხით საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში" წარმოქმნილ დავასთან დაკავშირებულ გადაცემაში, რომელიც გასული წლის 27 ნოემბრისა და 4 დეკემბრის ჩვენ მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ორ მასალას უნდა შეხებოდა, გასცდა გამომცემლობაში წამოჭრილ პრობლემათა საზღვრებს და გალმა შედავების პრინციპითა და მთელი რიგი ბრალდებებით მწერალთა კავშირის თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე გადაინაცვლა, ვაჟა ოთარაშვილმა გაახმიანა მორიგი ცრუ ბრალდება, თითქოს ჩვენი წერილები (ზ.თორიასი და გ.კობიაშვილისაძ ინკოგნიტო პიროვნების მიერ იყო დაფინანსებული.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამგვარი რამ არ ყოფილა და როცა ნებისმიერი პიროვნება მსგავს განცხადებას აკეთებს, მის მიერ მოხმობილი არგუმენტები დაფუძნებული უნდა იყოს სრულ სიმართლეზე და არა ვარაუდებსა და „გამგებმა გაიგოს" პრინციპებზე. ამ ნატყუარი ბრალდებით მავანი შეურაცხყოფს როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას", ისე ეჭვქვეშ აყენებს საკუთარი ინფორმაციის სისწორეს.

არც მეორე ბრალდება, თითქოს ზემოთ აღნიშნული წერილები რევაზ მიშველაძის ზემოქმედებით დაიწერა და დაიბეჭდა გურამ გოგიაშვილის წაქეზებით, სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ჩვენ არასოდეს არავითარ ალიანსში არ ვყოფილვართ რევაზ მიშველაძესთან და იმედი არც უნდა ჰქონდეს ვინმეს, რომ ამგვარი რამ მომავალში მოხდება. რევაზ მიშველაძეს წარმოდგენა არ ჰქონდა ამ წერილების არსებობის შესახებ და მათთან დაკავშირებით მის ინიციატივაზე საუბარი მისტიფიკაციის სფეროს განეკუთვნება. პირიქით, ჩვენ დიდი პრეტენზია გვქონდა თვით რევაზ მიშველაძესთან: ჩვე-



ნი განცხადებები რამდენიმე თვე იდო მწერალთა კავშირის სამდივნოში და გამომცემლობაში არსებული მდგომარეობის განხილვას მანაც წაუყრუა. ასე რომ რევაზ მიშველაძის მიერ ჩვენი წერილებით დაინტერესება თავისთავად უნდა გამოირიცხოს.

რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ ეს წერილები გურამ გოგიაშვილის წაქეზებით დაიბეჭდა: ჩვენ ბატონ გურამ გოგიაშვილს კატეგორიულად მოვთხოვეთ ამ წერილების დაბეჭდვა, რადგან ჩავთვალეთ, რომ იგი ჩვენთან ერთად იყო დამნაშავე თავის დროზე ვ.ოთარაშვილის გამდივნებასა და გადირექტორებაში.

**ზურაბ თორია,**
**გულო კობიაშვილი,**
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის" ყოფილი თანამშრომლები.

**ზამთრის სეზონზე**

# ქართველი ტურისტები შარმ-ელ შეიჰში „გულაობენ"

**საქართველოს მთავრობა დიდ იმედებს ტურიზმიდან შემოსულ თანხებზე ამყარებს. მაგრამ, ამჯერად თოვლმა გვიმტყუნა და ამიტომაც ზამთრის სეზონის ტურისტების სიხალვათეს განვიცდით. „კომერსანტ. ჯე"-ს ინფორმაციით გუდაურის სასტუმროებში, სადაც დასვენების ფასების პაკეტი დაახლოებით 300 ლარს შეადგენს, 30 პროცენტმა თოვლის სიმცირის გამო პაკეტი გააუქმა. თუმცა სასტუმროების მენეჯერები იმედს არ კარგავენ და ამბობენ, რომ შარშანდელთან შედარებით დამსვენებელთა რიცხვი გაიზარდა. ტურისტებს შორის სჭარბობენ უცხოელები, განსაკუთრებით უკრაინელები, ბელორუსები და აზერბაიჯანელები.**

The new York Times-მა იმ ორმოცდაერთი ქვეყნის სია გამოაქვეყნა, სადაც ტურისტებს მოგზაურობას ურჩევს. საქართველო მათ შორის მე-6 ადგილზეა, ხოლო პირველ პოზიციაზე ჩილე აღმოჩნდა. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან სიაში მხოლოდ თურქეთი მოხვდა. „საქართველოს ზამთრის კურორტებიდან განსაკუთრებით ცნობილი ბაკურიანი და გუდაურია, რომლებიც თბილისიდან რამდენიმე წუთის დაშორებით მდებარეობენ. საქართველო შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს და ქვეყანას გარს მთები ერტყმის, რომელთა სიმაღლე 16 000 ფუტს აღწევს", – წერს The new York Times-ი.

მასალაში ნათქვამია მესტიის და გოდერძის უღელტეხილის შესახებაც, სადაც თოვლის საფარი 6 თვის განმავლობაშია.

იმის მიუხედავად, რომ უცხოელ ტურისტებს საქართველოსკენ უბიძგებენ, ქართველ დამსვენებელს თვალი უცხოეთისკენ უჭირავს. რა თქმა უნდა, „ბობოლა ფულიანებს", რომელთაც ადგილობრივი ტურიზმი ნაკლებად იზიდავთ. თუმცა თუ საქართველოს სასტუმროების ფასებს ზოგიერთი ევროპული ქვეყნისას შევადარებთ, ისინი მათ ბევრად არ ჩამოუვარდება, ხოლო თურქეთის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომრის ღირებულება ზოგჯერ გაცილებით დაბალია.

იგივე „კომერსანტ. ჯეს" კვლევების მიხედვით, საახალწლო არდადეგების დროს ყველაზე მეტი ქართველი ტურისტი ეგვიპტის კურორტ შარმ-ელ შეიჰში მოიყრის თავს, სადაც სამვარსკვლავიან სასტუმროში თერთმეტი დღით დასვენება 1000 დოლარად არის შესაძლებელი. ქართველი დამსვენებლების ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილების ათეული ასეთია: შარმ-ელ შეიჰი, ტაბა, დუბაი, პრაღა, რომი, ისრაელი, პარიზი, ამსტერდამი, სტამბოლი, ვენა. ტურისტულ სააგენტოებში აცხადებენ, რომ ქართველ დამსვენებელთა უმეტესობას შობა-ახალი წლის გატარება ევროპაში სურს, მაგრამ აფრიკულ კურორტებს უპირატესობას პირდაპირი რეისებისა და შედარებით დაბალი ფასების გამო ანიჭებს. თანაც ევროპაში ტურების დაგეგმვა რთულია, რადგან ვიზის ასაღებად შესაძლოა ორი თვის განმავლობაში მოუწიოთ ლოდინი. ამიტომაც საშობაოდ ტურისტთა დიდი ნაკადი ძირითადად ეგვიპტისა და დუბაის მიმართულებით წავიდა. ზამთრის სეზონზე დიდი მოთხოვნა იყო სტამბოლზეც.

ასე რომ, ძალიან კი ვწუწუნებთ, ბოლო დროინდელ ცხოვრების გაძვირებაზე, გაზრდილ ფასებსა



და გადასახადებზე, მაგრამ ამ დროს ბევრი ქართველი მაინც ახერხებს ცხოვრებით ტკბობას, თავს უფლებას აძლევს ზამთრის სიცივეში აფრიკული მზის მცხუნვარებით დატკბეს.

სხვათა შორის AGT-ის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 68 პროცენტს სამუდამო საცხოვრებლად წასვლა არსად სურს და სამშობლოში ცხოვრება ურჩევნია. უცხოეთის ქვეყნებს შორის ყველაზე პოპულარული იტალია და საფრანგეთია. გამოკითხულთა 3 პროცენტი ისურვებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრებას, ხოლო მხოლოდ ერთ პროცენტს უნდა რუსეთში ცხოვრება. სხვათა შორის, ასეთივე შეკითხვით რუსეთში მცხოვრებ 1000 რესპონდენტსაც მიმართეს, რომელთა 73-მა პროცენტმა უპასუხა, რომ დაუყოვნებლივ დატოვებდა თავის ქვეყანას, ამის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს.

**აი, საქართველოში კი ყველაფერი პირიქითაა. მერე რა, რომ სულ რამდენიმე ათეული პროცენტისთვისაა ხელმისაწვდომი ფასები, ფუფუნებით ცხოვრება და ძვირადღირებულ კურორტებზე „გულავი"... მზიურ საქართველოს მაინც არაფერი ურჩევნიათ!**

**ნია ფიფია**

**ჩვენი კარაბადინი**

# დაადგინეს მამაკაცის გამელოტების მიზეზი

**ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შეძლეს დაედგინათ მამაკაცის გამელოტების მიზეზი.**

იმ ექსპერტების ჯგუფი, რომლებიც აქვეყნებენ თავიანთი გამოკვლევების შედეგებს, მიიჩნევს, რომ საქმე არა ახალი თმების უკმარისობაშია, არამედ თავად თმების ხარისხში, რომლებიც ამოდის გაცვენილის სანაცვლოდ.



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იმ პაციენტებს, ვისაც აწუხებს სიმელოტე, უყალიბდებათ თმების ძირების იმდენივე ოდენობა, რამდენიც ჯანმრთელ ადამიანებს. მაგრამ მილოვანი უჯრედების დეფიციტის გამო ახალი თმები მეტად პატარებია და ისინი შეიძლება დავინახოთ მხოლოდ მიკროსკოპის ქვეშ.

„ეს მეტყველებს იმ მილოვანი უჯრედების აქტივაციის პრობლემების არსებობაზე, რომლებიც ახდენენ წინამორბედი უჯრედების ტრანსფორმირებას გამელოტების დროს", – თქვა საგამოკვლევო ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯორჯ კოსტარელისმა.

ექსპერტებს იმედი აქვთ, რომ მათი გამოკვლევები საშუალებას მოგვცემენ შევქმნათ განსაკუთრებული კრემი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება მილოვანი უჯრედების ტრანსფორმირება, რათა თავზე გამოჩნდეს ნორმალური თმები.

„ის ფაქტი, რომ გამელოტების შემთხვევაში არის იმდენივე მილოვანი უჯრედი, გვაძლევს მათი რეაქტივაციის იმედს", – აღნიშნავს კოსტარელისი.

გამელოტების წარმოქმნის მიზეზები ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს დაავადება დაკავშირებულია მამაკაცის ჰორმონ ტესტოსტერონთან. ამას გარდა, გამელოტება ჩვეულებრივად მემკვიდრეობით გადაეცემა.

ბი-ბი-სი.

# ხალხი, როგორც ბოცვრები?

**წავიკითხე, რომ დედალ ბოცვერთან შეხვედრის შემდეგ მამალმა შეიძლება დაიკლოს წონაში მთელი ნახევარი კილო – ამ დროს თავად იგი იწონის 3-5 კილოგრამს. საინტერესოა, ხალხს თუ შეუძლია გადაიღოს ბოცვრების გამოცდილება, რათა სექსის მეშვეობით გახდნენ?**

**ბ. სიხარულიძე, გურჯაანი**

– რასაკვირველია, ადამიანებსაც შეუძლიათ გახდნენ სექსის დახმარებით, თანაც როგორ, – დარწმუნებულია ექიმი-სექსოლოგი კუკური კაჭახიძე. – სიახლოვის დროს ხდება ჰორმონალური გამოფრქვევა, მუშაობს ყველა ორგანო და ორგანიზმის სისტემები, რის წყალობითაც იწვის კალორიები. ბრიტანელმა მეცნიერებმა, მაგალითად, დაიანგარიშეს, რომ სექსის ყოველი ოცი წუთის შემდეგ ადამიანი კარგავს 200 კილოკალორიას – ეს დაახლოებით იმდენია, რამდენსაც იგი კარგავს ცურვის ნახევარი საათის განმავლობაში აუზში, ანდა ინტენსიური სიარულის ერთი საათის განმავლობაში. ხოლო თუ საკვებს შევადარებთ, 200 კილოკალორია – ეს დაახლოებით არის ერთი ერბოკვერცხი და კარაქის ბუტერბროდი.



სხვათა შორის, თავისთავად სიყვარულობის მდგომარეობაც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში და შესანიშნავ გარეგნულ იერს. ასე რომ, ბოცვრებისგან განსხვავებით ხალხმა სასიყვარულო სექსისგან შეიძლება მიიღოს ორმაგი სარგებელი.

**კავშირგაბმულობის კომპანიების „ახალი ქსელების", „ახტელის", „სისტემნეტის" და „ფოპტნეტის" ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული ხელმძღვანელი მუშაკის – კავშირგაბმულობის სენაკის რაიონული განყოფილების ყოფილი უფროსის**

**გურამ კინწურაშვილის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.**

**ინფორმაცია**

# მომხმარებელთა მოზიდვის საუკეთესო საშუალება




**ავტორიტეტული ფინანსურ-ეკონომიკურ ჟურნალ „ფორბსში" კომპანია „რეფუთეიშნ აინსთითუტის" რეიტინგი გამოქვეყნდა, რომლის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მეტად მომხმარებელი კომპანიების „გუგლისა" და „სონის" პროდუქციას ენდობა.**

ორი გამოკვეთილი ლიდერის უპირველესი თვისებაა ტექნიკური სიახლეების ფართო, სწრაფი დანერგვა. მსოფლიო ბაზარი „გუგლმა" და „სონიმაც" ახალი ტექნოლოგიების წყალობით დაიპყრეს, რომელიც მათ მომხმარებელს ყოფას შეუდარებლად უფრო კომფორტულს ხდის.

„გუგლი" მათ უამრავ მომსახურებას, ფოსტას, რუკებსა და მრავალ სხვა მომსახურებას უფასოდ სთავაზობს. „სონიმ" კი მოღვაწეობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე უზადო ხარისხის უამრავი დასახელების უაღრესად მოსახერხებელ საყოფაცხოვრებო ტექნიკას უშვებს. ცოტა ხნის წინათ კი მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში იგი ინტერნეტში ჩართვის მოწყობილობით აღჭურვილ ტელევიზორს გამოუშვებს.

„რეფუთეიშნ აინსთითუტის" ექსპერტთა აზრით, ინოვაცია მომხმარებელთა მიზიდვის საუკეთესო საშუალებაა. მსოფლიოს საუკეთესო კომპანიათა სიაში, „გუგლისა" და „სონის" გარდა ასევე არიან „უოლტ დისნეი კომპანი", ბმვ, სხვები.

**განცხადება**

**შპს „ზესტაფონის საგზაო სამმართველოს" სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2011 წლის 26 იანვარს 12 საათზე.**

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება: „ასენიზაციის მანქანა" „გაზ 53" ამორტიზებული, ფასი 2500 ლარი, ავტომანქანა კაზ-4540 ამორტიზებული, ფასი 200 ლარი, ავტომანქანა გაზ-„52-04" ამორტიზებული ნაწილი, ფასი 85 ლარი, ბულდოზერი ტ-180, ამორტიზებული, ფასი 2800 ლარი, სატკეპნი „დვ-17", ფასი 5200 ლარი, ავტომანქანა „გაზ-52", ფასი 500 ლარი, სატკეპნი „დვ-54", ფასი 3000 ლარი, საკი „ადდ 305" – 1300 ლარი, ასფალტის დამგები „დეუ- 143" – 25000 ლარი, ავტომანქანა „გაზ-69", ფასი 500 ლარი, ადმინისტრაციული შენობა თავისი ინვენტარით 14000 ლარი, ორთქლის ქვაბის შენობა 3200 ლარი, რკინიგზის ჩიხი 1 გრძ. მეტრი 140 ლარი, ორთქლის ქვაბი – 7000 ლარი.

**მისამართი: ზესტაფონი, სოფ. ქვედა საქარა. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ, ტელეფონი 899-23-48-33.**

**გაკოტრების მმართველი პ. კიკალიშვილი**

**განცხადება**

**ქ. თბილისის ს.ს.ი.პ № 120 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზურფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის 290,06 კვ.მ. ფართის საათობრივი იჯარის ფორმით გასაცემად სპორტული სექციების ფუნქციონირებისათვის.**

**საწყისი საკონკურსო ფასი შეადგენს 15 ლარს საათში.**

**განცხადებები მიიღება: გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, 120-ე საჯარო სკოლის დირექციაში. უწერის ქ. №6. ტელ: 877930083.**

## დაიჯესტი

### სამკურნალო კლოუნი

**ამერიკის, შვედეთის, საფრანგეთისა და ავსტრიის მრავალ კლინიკაში სიცილოთერაპიის კაბინეტებია გახსნილი, სადაც ავადმყოფებს... მკაცრად მოზომილი სიცილის დოზებით მკურნალობენ! ექიმთა მტკიცებით, ამ მეთოდოლოგიის წყალობით, ქრონიკულ დაავადებებთან ბრძოლა გაცილებით წარმატებულია.**

მეტიც: ზოგიერთ საბავშვო კლინიკაში, პატარა პაციენტებთან ურთიერთობისას, ექიმები და ექთნები... კლოუნების სამოსელს იცვამენ. გერმანიაში კი სულაც ექიმი-კლოუნების ასოციაცია არსებობს, რომლებიც მძიმე ავადმყოფი ბავშვების მკურნალობას თამაშად აქცევენ. ავსტრიისა და ჰოლანდიის მსხვილ კლინიკებში კი სამკურნალო კლოუნები სულაც შტატში აიყვანეს.

ამერიკელმა ჰარი ედვარდსმა ჩეხეთში სამოქალაქო გაერთიანება „სამკურნალო კლოუნი“ შექმნა, სადაც მოხალისეები კლოუნადებს რეგულარულად აწყობენ. ამ მოძრაობას უნგრეთი და პოლონეთიც შეუერთდნენ. ისრაელის ერთ-ერთ ჰოსპიტალში კი მედდებისთვის, ექიმებისა და ფიზიოთერაპევტებისთვის „სამედიცინო კლოუნის“ ექვსთვიანი კურსები მოქმედებს, რომელთა კურსდამთავრებულნი შემდგომ ქვეყნის საუკეთესო სამედიცინო ცენტრებში მუშაობენ.

### ასფალტს ქვაფენილი სჯობს

**ასფალტის გზატკეცილი ტექნიკური პროგრესის სიმბოლოა, ქვაფენილი კი – ჩამორჩენილობის. არადა, ჰოლანდიელი ინჟინრები სხვა აზრისანი არიან. მათ მიაჩნიათ, რომ მომავალი არა ასფალტით, არამედ ქვაფენილით დაფარული, უფრო სწორად კი პატარ-პატარა ბეტონის „ქვებით“ დაგებული გზებისაა.** ასეთ საფარიან გზას, ასფალტით დაფარულისგან განსხვავებით, არც ზეთი აზიანებს, არც ბენზინი. გარდა ამისა, მისი გაყვანაც უფრო ადვილია, ვიდრე ბეტონის ფილების დაგება ან მონოლიტური ბეტონის ჩასხმა, თან უფრო იაფიც ჯდება. ამ ტიპის გზა მოძრაობისთვისაც გაცილებით უსაფრთხოა იმის გამო, რომ ბეტონის ბლოკებთან ავტომანქანების საბურავების შეჭიდების კოეფიციენტი მათ ასფალტის საფართან შეჭიდების მაჩვენებელზე მაღალია.





### მილანის მაგივრად ჟენევაში

**საფირმო ღამის ექსპრესის „პაბლო კაზალსის“ ასობით მგზავრმა, ვინც ბარსელონიდან ციურიხსა და მილანში მიემგზავრებოდა, დილით არა დანიშნულების ადგილას, არამედ სულ სხვაგან გაიღვიძა.**

ღამით, ბარსელონიდან გამომგზავრების შემდეგ, მატარებლის მგზავრებმა დაიძინეს. გვიან ღამით მატარებელი საფრანგეთის ქალაქ ლიონში ჩავიდა, საიდანაც ვაგონების ნაწილი შვეიცარიაში მიმავალი შემადგენლობისთვის უნდა ჩაებათ, მეორე ნაწილი კი იტალიის გზას უნდა გაჰყოლოდა. მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი შეცდომის გამო ეს ორი ნაწილი ერთმანეთში აერიათ, რაც ვერავინ შენიშნა.

ორივე „ნახევრის“ გამცილებლებმა განგაში მხოლოდ გამთენიისას ატეხეს, როცა „მილანურმა“ ვაგონებმა თითქმის მიაღწიეს ჟენევას, „ციურიხულები“ კი საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე შეაჩერეს. წარმოიდგინეთ მგზავრთა გაოცება, რომლებმაც დილით გაარკვიეს, რომ ისევ ლიონში ბრუნდებიან. მგზავრთა მრავალსაათიანი დაგვიანების გამო საფრანგეთის სარკინიგზო კომპანია SNCE-ს სასამართლო სარჩელებით მეტად სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს.

### თოჯინები... გათხოვებამდე

**სათამაშოები ბავშვებს, თურმე, პირველყოფილ საზოგადოებაშიც ჰქონდათ. ძველ ეგვიპტეში თოჯინებს ნამდვილი თმები, მოძრავი ხელ-ფეხი, ასევე ქურუმთა სამოსელი და ქუდები ჰქონდათ. ძველი ჩინეთისა და ინდოეთის სათამაშოები ხასხასა ფერებით გამოირჩეოდნენ, იაპონიაში თოჯინებს ადვილად მსხვრევადი მასალისგან ამზადებდნენ, ევროპაში კი მათ გასაკეთებლად ქსოვილებს, ხეს, თიხას, ჩალას, ლერწამსა და მსგავს მასალებს იყენებდნენ.**

ძველ საბერძნეთში ყველაზე პოპულარული სათამაშო... ტროას ცხენი იყო, რომლის შიგნით პატარა ჯარისკაცები იმალებოდნენ. ძველ რომში კი გოგონები საყვარელ თოჯინებს... გათხოვებამდე არ იცილებდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქორწილამდე ისინი ვენერას სამსხვერპლოზე უნდა შეეწირათ სიყვარულის ქალღმერთისთვის.

## დღის კალენდარი

### 13 იანვარი

ქრისტეშობის დღესასწაულის წარგზავნა.

ღირსისა დედისა საბაიასი, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა; ღირსისა მელანია რომაელისა (V); მღვდელმოწამისა ზოტიკე ხუცისა, ობოლთა მზრდელისა (IV).



ამოდის 07.27
ჩადის 16.53



ამოდის 06.08
ჩადის 03.07

### დაიბადნენ:

**1622 – ჟან ბატისტ მოლიერი,** დიდი ფრანგი დრამატურგი და მსახიობი.

**1815 – ლავრენტი არდაზიანი,** მწერალი. გარდაიცვალა 1870 წელს.

**1862 – ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე),** ისტორიკოსი, პუბლიცისტი, გარდაიცვალა 1918 წელს.

**1872 – ნინო ნაკაშიძე,** მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1963 წელს.

**1899 – ლევ კულეშოვი,** რუსული კინოხელოვნების თეორეტიკოსი და ნოვატორი. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1909 – სიმონ ვირსალაძე,** თეატრის მხატვარი.

**1917 – ილია ლიფშიცი,** რუსი ფიზიკოსი, მყარი სხეულების ფიზიკის სამეცნიერო სკოლის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1982 წელს.

**1929 – ვილი სიორენსენი,** დანიელი მწერალი, ფილოსოფოსი.

### გარდაიცვალნენ:

**86 წელი ჩვ.წ-მდე – გაიუს მარიუსი,** რომის კონსული და მხედართმთავარი.

**1599 – ედმონდ სპენსერი,** ინგლისელი პოეტი.

**1906 – ალექსანდრ პოპოვი,** რუსი ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი.

**1909 – ივან ზაბელინი,** რუსი ისტორიკოსი და არქეოლოგი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დამაარსებელი.

**1941 – ჯეიმს ჯოისი,** ირლანდიელი მწერალი.

**1987 – იგორ ილინსკი,** ცნობილი რუსი მსახიობი.

### მოვლენები:

**1610 წელი** – გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის მეოთხე თანამგზავრი, რომელსაც კალისტო უწოდა.

**1703 წელი** – მოსკოვში რეგულარულად დაიწყო გამოსვლა პირველმა რუსულმა ბეჭდვითმა გაზეთმა „ვედომოსტიმ“.

**1910 წელი** – ოპერა პირველად გადაიცა რადიოთი – ნიუ იორკის ოპერის თეატრის სცენაზე მღეროდა ენრიკო კარუზო.

**1940 წელი** – დამთავრდა არქტიკის ყინულებში ყინულმჭრელი გემის „გეორგი სედოვის“ 812-დღიანი დრეიფი. ეკიპაჟის 15 წევრი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

**1958 წელი** – ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლაინუს პოლინგმა გაეროს გადასცა მსოფლიოს 43 ქვეყნის 9.000 მეცნიერის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ.

**1991 წელი** – ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ტელეცენტრი, დაიღუპა 14 ადამიანი.

**1993 წელი** – პარიზში 130 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას ქიმიური იარაღის დამუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**რუსეთი** – პრესის დღე.

**ლიტვა** – თავისუფლების დამცველთა დღე.

მედიანიუსი

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +8 |
| ქუთაისი. | +7 – +14 |
| ბათუმი. | +8 – +14 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | -1 – +9 |

## კადრი



## ანეკდოტები

– პირს რატომ არ იპარსავ?

– არა მყავს გოგო, ვისი გულისთვისაც უნდა გავიპარსო...

– შენთვის არ შეიძლება?

– ჩემთვის არაფს ვყიდულობ.

* * *

ორნი საუბრობენ:

– მოდი, ერთად ვიცხოვროთ: მუდამ ვოცნებობდი სახლზე, სადაც მაჭმევენ, გამირეცხავენ, დამიუთოვებენ...

– მაგრამ მე არ ვიცი საჭმლის მომზადება, რეცხვა და გაუთოება.

– რატომ, განა დედამ არ გასწავლა?

– დედაჩემი სულ მეუბნებოდა, ეს კაცის საქმე არ არისო.



* * *

– ოფიციანტო, ჩემს ექსკლუზიურ წვნიანში ბუზია!! – ყვირის ელიტური რესტორნის აღშფოთებული კლიენტი.

– აი, ხომ ხედავთ, ჩვენთან ბუზებიც კი გურმანები არიან!

* * *

– გოგონი, მოდი პარკში გავისეირნოთ!

– მერე შენ მაგ პარკში სექსს ხომ არ დამიპირებ?

– რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ გავისეირნოთ.

– რაღაც არა ვარ სეირნობის განწყობაზე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.